ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 7 თებერვალი, 2023 №26 (9062) ფასი: 80 თეთრი

## თურქეთში მიწისძვრას კიდევ ერთი ქართველი ემსხვერპლა


გვ.4


გვ.4

## სამაშველო ღონისძიებებში ჩართვის მიზნით საქართველოდან თურქეთში მაშველები გაემგზავრნენ

# მიხეილ სააკაშვილს სასჯელი არ გადაუვადა, მოსამართლემ პატიმრობაში დატოვა



გვ.3

მიხეილ სააკაშვილი: „მე ვერაფერი გამტეხს. ახლა გაბრაზებისა და ბრძოლის – ყველა ძალის გაერთიანების დროა“

## „მერაბიშვილი და კეზერაშვილი ნაციონალურ მოძრაობას ნაბიჯ-ნაბიჯ შლიან“


გვ.2



დიმიტრი ბიძინაშვილი: „მელიას მომხრეებს პარტიიდან წასვლაზე მსჯელობაც კი არ გვქონია“

## „ამ ქვეყნის ბედს ოროპროცენტიანი პარტიები ვერ გადაწყვეტენ“


გვ.3

მურმან დუმბაძე: „უბედურებაა, რომ ამ პატარა ქვეყანას სამი მთავრობა ჰყავს – სოხუმში, ცხინვალსა და თბილისში“


გვ.2

## ზურაბ ქადაგიძე: „საქართველო ევროპაში კორუფციის დაბალი დონით ერთ-ერთი მოწინავეა“

## „გაერომ ომი ვერ გააჩერა“


გვ.4

უკრაინელი თადარიგის მაიორი: „ყირიმის დაბრუნება უკრაინის შემადგენლობაში რუსეთში დესტაბილიზაციას გამოიწვევს“

## ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენს ხალხს სურსათის შეძენა თითქმის 100%-იანი ფასნამატით უწევს, რაც კატეგორიულად მიუღებელია“


გვ.3
გვ.5

## ირაკლი ღარიბაშვილი: „ბოლო ორ წელიწადში 220.000 სამუშაო ადგილი შეიქმნა“

1993230720223

4 სენაკში მეზობელმა მეზობელი ნაჯახით დაჭრა

5 ვინ არის საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აშშ-ში შეკვეთილი მკვლელობისთვის 30 ათასი დოლარი გადაუხადეს

5 გორში მამაკაცმა ცოლი და სიდედრი მოკლა, შემდეგ კი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა

6 საით დაარტყამენ რუსები?!

# „მერაბიშვილი და კეზერაშვილი ნაციონალურ მოძრაობას ნაბიჯ-ნაბიჯ შლიან“

## დიმიტრი ბიძინაშვილი: „მელიას მომხრეებს პარტიიდან წასვლაზე მსჯელობაც კი არ გვქონია“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ნაციონალური მოძრაობის წევრი დიმიტრი ბიძინაშვილი პასუხობს.**



***– დიმიტრი, როგორ აფასებთ პარტია ნაციონალურ მოძრაობაში განვითარებულ ბოლო პერიოდის პროცესებს? გუშინ პოლიტსაბჭოს ყრილობა ჩატარდა. ვისმენთ შეფასებებს, რომ გუშინდელმა დღემ დაანახა ამომრჩეველს, ეს პარტია ერთიანი ვეღარ იქნება, დაპირისპირება გაღრმავდება და მელიას მომხრეები ამ პარტიაში აღარ გაჩერდებიან. რას იტყვით შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით?***

– პირველი, არავინ ამ პარტიიდან გაქცევასა და ბრძოლის ველის დატოვებას არ აპირებს. ჩვენი ამომრჩეველი არაფორმალურ მმართველობას პარტიის შიგნით ვერ შეეგუება. გუშინდელი გადაწყვეტილებაც ამის დასტურია და კიდევ ერთხელ დავინახეთ, რომ არაფორმალურმა მმართველობამ პოლიტიკაზე გაიმარჯვა. ამომრჩევლების ის 40%, რომელიც ამ პარტიას ჰყავს, ფეხებზე დაიკიდეს და მათი აზრის გათვალისწინება არ მოხდა.

***– რას ნიშნავს არაფორმალურმა მმართველობამ გაიმარჯვა? არ არის თავმჯდომარე ლეგიტიმური?***

– სწორედ მაგას ვამბობ, რომ ვიწრო ჯგუფი პარტიაში დაჯდა და გადაწყვიტა, მიეღოთ ისეთი პოლიტსაბჭო, როგორიც მიიღეს. როგორ წარმოგიდგენიათ, 42 ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა თავმჯდომარის არჩევნებში და ახლა მათ მიერ შერჩეულმა 300 კაცმა დაამტკიცა პოლიტიკური საბჭო და იმ ადამიანების ხმა არ ისმის, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ არჩევნებში. ეს არჩევნები ხომ იმიტომ ჩატარდა ასე ფართოდ, რომ მაქსიმალური ჩართულობა ყოფილიყო პარტიაში მონაწილეობასა და გადაწყვეტილების მიღებაზე. კანდიდატები სწორედ ამას გველაპარაკებოდნენ, რომ კანდიდატების ჩართულობა უნდა ყოფილიყო. ყველა ეს ადამიანი გასწიეს გვერდზე და თავად იღებენ არასწორ გადაწყვეტილებას. გვესაუბრებოდნენ ერთიანობაზე და ახლა ნაბიჯ-ნაბიჯ შლიან ამ ერთიანობას და ცდილობენ, რაღაც გზებით პარტია ხელში ჩაიგდონ. ეს მცდელობები ამ პარტიას აქამდეც ჰქონდა და, როგორც დამთავრდა, ძალიან კარგად იცით. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ყველაფერიც ასე დამთავრდება.

> **„ვიწრო ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება, მათ როგორი პოლიტსაბჭოც აწყობთ, ისეთი მიეღოთ. ძალიან ვწუხვარ, მათ შორის იმ ახალგაზრდებზე, რომლებიც გამოიყენეს, დააყენეს, არჩევნები მოათხოვნინეს და ახლა არცერთი მათგანი პოლიტიკურ საბჭოში არ არის“**

***– დიმა, ვინ ცდილობს პარტიის ხელში ჩაგდებას, მერაბიშვილი და კეზერაშვილი?***

– დიახ, რა თქმა უნდა. მერაბიშვილი რომ არის ამ ყველაფრის უკან და თავად რომ დადიოდა, თავად რომ რეკავდა და თავად რომ იყო არაფორმალურად ჩართული ამ ყველაფერში, ამას ყველა ხედავდა. ამ ადამიანმა არ ისურვა საჯაროდ გამოსვლა. ჩემი აზრით, ყველამ საჯარო პოლიტიკა უნდა აკეთოს და საკუთარი მოსაზრება ყველამ ღიად უნდა დააფიქსიროს და არა ისე, როგორც ვანო მერაბიშვილი იქცეოდა. ამას აუცილებლად მოჰყვება თავისი შედეგები. ამ ყველაფერს აუცილებლად გაიაზრებს ჩვენი ამომრჩეველი, თუ რა მოხდა სინამდვილეში და პასუხს გასცემს ყველას. რა დაპირებებით მოვიდნენ, ხომ ვისმენდით, თითქოს ხალხს უნდა დაჰბრუნებოდა პარტია და პარტია დაუბრუნდა ვანო მერაბიშვილს, რომელიც არაფორმალურად მართავს მას.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ ხაბეიშვილი მხოლოდ ფორმალურად არის პარტიის თავმჯდომარე? მას არავინ არაფერს ეკითხება? ის ვერ იღებს გადაწყვეტილებებს?***

– გადაწყვეტილებას ვინც იღებს, გუშინდელმა პოლიტსაბჭოს არჩევნებმა გამოაჩინა. რა ხალხიც მოხვდა ვითომ არჩეულ პოლიტსაბჭოში, ძალიან კარგად დავინახეთ. ეს უნდა ყოფილიყო ტექნიკური სახის შეხვედრა, რომელიც დაამტკიცებდა თავმჯდომარეს და აქ არ უნდა ყოფილიყო საუბარი პოლიტსაბჭოზე. პოლიტსაბჭოს არჩევნები მარტში უნდა ჩატარებულიყო.

***– აბა, მარტში რა უნდა ჩატარდეს?***

– სწორედ მაგას ვამბობ, ყველა ვსაუბრობდით იმაზე, რომ მარტში უნდა ჩატარებულიყო ასეთი ფართომასშტაბიანი არჩევნები, რომ ადამიანებს საკუთარი წარმომადგენლები ჰყოლოდათ ამ საბჭოში. ამ შემთხვევაში ვიწრო ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება, მათ როგორი პოლიტსაბჭოც აწყობთ, ისეთი მიეღოთ. მე ძალიან ვწუხვარ, მათ შორის იმ ახალგაზრდებზე, რომლებიც გამოიყენეს, დააყენეს, არჩევნები მოათხოვნინეს და ახლა არცერთი მათგანი არ არის პოლიტიკურ საბჭოში. მე ვგულისხმობ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის იმ ახალგაზრდებს, რომლებიც წარმოდგენილნი არიან პარტიაში და ისინი, უბრალოდ, გამოიყენეს. ძალიან ვწუხვარ, რომ ახალგაზრდების ხმა არ იქნება პოლიტსაბჭოში.

***– რას აპირებს ნიკა მელიას ფრთა, შეეგუებით არსებულ ვითარებას?***

– დღეს ჩვენი მთავარი ამოცანა მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლებაა. ჩვენ მოვისმინეთ ძალიან დიდი დაპირებები ამასთან დაკავშირებით.

***– ხაბეიშვილი ჰპირდებოდა თავის ამომრჩეველს, ფიზიკურად გამოვიხსნიო.***

– დიახ, მოვისმინეთ დაპირებები. ახლა მათ ხელშია ბურთიც და მოედანიც და ველოდებით ქმედით ნაბიჯებს. ამ ყველაფერს უყურებს მათ შორის ჩვენი ამომრჩეველი, რომელმაც მიიღო მონაწილეობა ამ არჩევნებში და თავად შეაფასოს, რამდენად იყო რეალური დაპირება და რამდენად იყო პოპულიზმი ყველა იმ დაპირებაში, რომლებიც იქნა გაცემული. ის, რომ ვინმე სადმე შევარდებოდა 21-ე საუკუნეში, წარმოუდგენლად მეჩვენებოდა მაშინაც და ახლაც. ვნახოთ, დაველოდოთ, პროცესები გამოაჩენს ამ ყველაფერს. ვნახავთ, რისკენ იყო მიმართული ყველა მათი ქმედება და დაპირება.

***– ვისმენთ შეფასებებს, რომ ის პროცესები, რომლებიც ახლა ნაცმოძრაობაში ხდება და პარტიის ეს თავმჯდომარე სრულად შედის ხელისუფლების ინტერესშიო. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?***

– რა თქმა უნდა, „ოცნებისთვის“ ხელსაყრელია დაშლილი ნაციონალური მოძრაობა. რა თქმა უნდა, მათ ინტერესშია, რომ ეს პარტია არ იყოს ძლიერი და ერთიანი. ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ ამ პარტიამ არ მოიკრიბოს ძალა. ასეთი ქმედებები, რომლებიც ახლა პარტიაში ხდება, „ოცნების“ წისქვილზე ასხამს წყალს.

***– ექსპერტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ მელია და მისი ფრთა არსებულ სიტუაციას ვერ შეეგუებიან. მათ მოუწევთ პარტიიდან წამოსვლა. ზოგი არც იმას გამორიცხავს, რომ „ლელოსთან“ გაერთიანდეთ. რაიმე მონახაზი თუ არსებობს? რას აპირებთ?***

– არანაირი მონახაზი არ არსებობს ამასთან დაკავშირებით. ახლა არ არის საუბარი პარტიიდან წასვლაზე. თამამად გეტყვით, რომ ამაზე მსჯელობაც არ ყოფილა. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ პარტიაში დაბრუნდეს პოლიტიკა და არ დარჩეს არაფორმალური მმართველობა. ძალიან მალე ყველა გაიგებს და საკუთარი თვალით დაინახავს, რეალურად რა მოხდა და რამ გაიმარჯვა. გუშინდელი გადაწყვეტილება განხეთქილების კიდევ უფრო მეტად გაღრმავებისკენ პირველი ნაბიჯია.

***– როგორ უნდა იურთიერთოთ, იარსებოთ და ითანამშრომლოთ ერთ სივრცეში, როცა ასეთი დაპირისპირებაა?***

– ამ ეტაპზე მთავარი მიზანი მიხეილ სააკაშვილის სამკურნალოდ გადაყვანაა. ეს მისია შესრულდება თუ არა, ამის შემდეგ გამოჩნდება კონკრეტული ნაბიჯები, რომელთა გადადგმაც გახდება შესაძლებელი. როდესაც ეს პროცესი დასრულდება, აუცილებლად გვექნება შესაბამისი პასუხები ყველა მათ ქმედებაზე, რომლებმაც პარტია დააზიანეს.

# „საქართველო ევროპაში კორუფციის დაბალი დონით ერთ-ერთი მოწინავეა“

## ზურაბ ქადაგიძე: „საქართველო ნაბიჯ-ნაბიჯ ასრულებს იმ გეგმას, რომელიც საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან არის დაკავშირებული“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი, „ხალხის ძალის“ წევრი ზურაბ ქადაგიძე პასუხობს.**

***– ბატონო ზურაბ, მოგეხსენებათ, ევროკავშირმა გამოაქვეყნა ანგარიში სამი რესპუბლიკის შესახებ, საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის მიღწევებზე და 12 რეკომენდაციის შესრულებაზე, სადაც საქართველო ლიდერობს, თუმცა არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ აცხადებს, რომ საქართველოში კლეპტოკრატია ყალიბდება, ანუ ხელისუფლებაში მყოფი ადამიანები საკუთარი ჯიბისთვის იბრძვიან და არა ხალხისთვის. ამასთან დაკავშირებით თქვენ რა აზრი გაქვთ?***

– ჩვენ აუცილებლად უნდა დავიწყოთ იმ შეფასებებიდან, რომლებიც ევროკავშირის ოფიციალური წარმომადგენლების საქართველოში ვიზიტებს მოჰყვა. ოფიციალური პირების ვიზიტებსა და ოფიციალურ განცხადებებს ვგულისხმობ. ისინი აქ არსებული ვითარების შესასწავლად მონიტორინგისთვის ჩამოდიოდნენ. მათ განაცხადეს, რომ საქართველომ დიდი ნაბიჯი გადადგა ევროკავშირთან დაახლოების მიმართულებით.

კონკრეტულ დოკუმენტში ასახული მონაცემებით, საქართველო ლიდერობს. ყოველთვის ვამბობდი, რომ საქართველოს ერთი წლის წინ უსამართლოდ მოექცნენ, როდესაც მოლდოვასა და უკრაინას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიანიჭეს, საქართველოს კი – ევროპული პერსპექტივა.

თუმცა, მაინც მივედით იმ ნიშნულამდე, საიდანაც საქართველოს მდგომარეობა კარგად ჩანს. ევროკავშირის წარმომადგენლების მხრიდან პოზიტიური შეფასებები ძალიან კარგია. ევროკავშირთან ტრიოს ფორმატში საქართველოზე ახლოს არც უკრაინაა და არც მოლდოვა. მოლდოვასა და უკრაინაში კორუფცია ყვავის.

უკრაინაში კიდევ სხვა პრობლემაა სამხედრო და კონფრონტაციული თვალსაზრისით, მაგრამ, ამ ომის გარდა, პრობლემები კიდევ არის – ფორსირებულ რეჟიმში მთელი მთავრობის ცვლილება, საკადრო გადაადგილებები. სისხლისსამართლებრივი დევნაც დაიწყო.

საქართველო ნაბიჯ-ნაბიჯ ასრულებს იმ გეგმას, რომელიც დაკავშირებულია საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან. სამწუხარო იქნება, თუ კვლავ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას მიიღებენ. ჯამში, პოზიტიური დოკუმენტია და რეალობას ასახავს.

სამწუხაროდ, საქართველოში, განსაკუთრებით რადიკალურ ფლანგზე, ვერ გაიგეს, რომ 21-ე საუკუნის დასაწყისი არ არის და სხვადასხვა სპეკულაციური გამოხდომით, პიარკამპანიებით საზოგადოებრივ აზრზე გავლენას ვერ შეძლებენ.

ახლა ციფრულ ეპოქაში ვცხოვრობთ. ყველამ ყველაფერი იცის, ყველა ყველაფერს ხედავს. სამწუხაროა, რომ არასამთავრობო სექტორის პოზიცია რადიკალური ოპოზიციისთვის ბანის მიცემას ჰგავს. რეალობა კი სხვაა.

***– რა რეალობაა?***

– რეალობაა, რომ ოფიციალური ევროკავშირი რადიკალური ოპოზიციისა და ამ არასამთავრობო ორგანიზაციისაგან განსხვავებულ რეალობას ხედავს. ამიტომ დადებით დასკვნას აქვეყნებს.

მართული მედიასაშუალებები, რადიკალური ოპოზიცია და მათი დანამატი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები რას ამბობენ მეათეხარისხოვანია.



***– „იუსაიდის“ მიერ გამოქვეყნებულ სახელმძღვანელოში ერთგვარი ანგარიშია ამ კუთხით გაკეთებული, სადაც, 2022 წლის აქცენტებით, გლობალურ კლეპტოკრატიასთან ბრძოლაა შეფასებული. საქართველოში კლეპტოკრატიასთან ბრძოლის წარმატებულ პერიოდად 2004-2012 წლებია აღიარებული, ხოლო 2012 წლის შემდგომ რადიკალურად განსხვავებულ სურათზეა საუბარი. ამას როგორ ახსნით?***

– სიმართლე გითხრათ, მე ეს ანგარიში არ მინახავს, მაგრამ, სამწუხაროა, რომ „იუსაიდი“ ამა თუ იმ სპეკულაციურ წიაღსვლებშია ჩართული. სამწუხაროდ, ხდება ხოლმე, როცა ოფიციალური სტრუქტურები (ამის თაობაზე „ხალხის ძალამ“ ამერიკის საელჩოს მისამართით არაერთხელ განაცხადა) ჯერ ერთს ამბობენ, მაგრამ შემდეგ ცვლიან და მეორეს აცხადებენ.

აქედან გამომდინარე, ასეთ განცხადებებს ვერ დავეთანხმები, რადგან კორუფციის დაბალი დონის ინდექსით საქართველო მოწინავე ადგილზეა. ბოლო მონაცემებით, საქართველო ევროპის 3 ქვეყანასა და ნატოს 7 ქვეყანას უსწრებს გამჭვირვალობის კუთხით.

არაერთი არასამთავრობო ორგანიზაციის დასკვნა გავრცელდა, რომლის მიხედვით, საქართველო წლიდან წლამდე სხვადასხვა მაჩვენებლით სხვადასხვა მიმართულებით წინ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
ISSN 1987-9385
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ამ ქვეყნის ბედს ორპროცენტიანი პარტიები ვერ გადაწყვეტენ“

## მურმან დუმბაძე: „უბედურებაა, რომ ამ პატარა ქვეყანას სამი მთავრობა ჰყავს – სოხუმში, ცხინვალსა და თბილისში“

ნათია ხურცილავა

**„ნაციონალური მოძრაობა — ძალა ერთობაშიას“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***— ბატონო მურმან, მთელი ყურადღება მიხეილ სააკაშვილისკენ არის მიმართული. ეს პროცესი თითქმის ყველაფერზე ახდენს გავლენას.***

— ეს აწყობს ხელისუფლებას და ამიტომ ვართ ამ მდგომარეობაში. არ შეიძლება, მსოფლიოში აღიარებული ექიმების, ექსპერტების დასკვნები იგნორირებული იყოს. კახექსია არის ის მდგომარეობა, რომელიც გადაუდებლად იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ პირს სასჯელი გადაუვადდეს ან საერთოდ მისი მოხდისგან გათავისუფლდეს. კახექსიას მიხეილ სააკაშვილის სახელმწიფო ბრალმდებლებიც კი აღიარებენ. სავარაუდოდ, ალბათ ეს საქმე სტრასბურგის სასამართლოში გადაინაცვლებს და იქ ამ საქმეს „დაჩქარებული წესით“ განიხილავენ. შემდეგ რა მოხდება, არ ვიცი.

***— ფიქრობთ, რომ შეიძლება გადაწყვეტილებას არ დაემორჩილოს, არ შეასრულოს?***

— დიახ, ამის მაგალითი ახსოვს საქართველოს. ასლან აბაშიძემ თავის დროზე ძმებ ასანიძეების საქმეზე სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეასრულა, ისინი ციხიდან არ გამოუშვა. ერთი ძმა ლამის ციხეში გარდაიცვალა, ციხიდან გამოვიდა თუ არა, მეორე დღეს მოკვდა. მაშინ აჭარის მთავარი პროკურორი კონცელიძე იყო, რომელმაც თქვა, რომ მას არ აინტერესებს სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება. დღეს ეს კაცი „ქართული ოცნებიდან“ პარლამენტის წევრია. მანამდე იყო ნაციონალურ მოძრაობაში.



ივანიშვილმა, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, სააკაშვილი ციხეში დაალპოს. ეს კი ცალსახად ართმევს ქართველ ხალხს ევროპულ პერსპექტივას. ვიღაც გაუნათლებელი იტყვის, რა შუაშიაო. მე ვეტყვი, რომ თავშია. კაციჭამიები, რომლებიც ადამიანს სასიკვდილოდ წირავენ, არავის არ სჭირდება, მით უფრო – ევროპაში. ასეთი ხალხის ადგილი არის რუსეთში და არა ევროკავშირში. ამიტომ თავმოყვარე ერი არცერთ ხელისუფლებას არ აპატიებდა საკუთარი მომავლის წართმევას. ამ ქვეყნის მომავალი კი ევროპაა, დასავლეთია და არა ჩრდილოეთი, როგორც უნდათ ვიღაცებს.

ამ ერს არაერთი ხელისუფალი დაუმარცხებია და გაუძევებია, რომლებიც მისი ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ წასულან. ასლან აბაშიძის ხელისუფლება დასამარცხებელი იყო და დაამარცხა კიდეც ქართველმა ხალხმა. ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლება ასევე იყო დასამარცხებელი და დაამარცხეს, სახლში გაუშვეს. მე თუ მკითხავთ, დასამარცხებელი და სახლში გასაშვები იყო მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება და ეს ქართველმა ხალხმა 2012 წლის 1 ოქტომბერს გააკეთა. დღეს „ქართული ოცნება“ გასაძევებელია ხელისუფლებიდან. არსებული ხელისუფლება ამ ქვეყანას პერსპექტივას ართმევს. ამის მოთმენა და ატანა არ შეიძლება.

***— მაგრამ სუსტი ოპოზიცია, რომელიც ერთმანეთში არკვევს ურთიერთობებს, რომელიც ასე დაქსაქსულია და ვერცერთი საკითხის ირგვლივ ვერ ახდენს კოორდინირებას, რამდენად არის ხელისუფლებისთვის ანგარიშგასაწევი?***

— ქართველმა ხალხმა საკუთარ თავზე უნდა აიღოს პასუხისმგებლობა. მესმის, რაზეც აკეთებთ აქცენტს. ნაციონალურ მოძრაობაში სასიამოვნო პროცესი ნამდვილად არ ხდება, მაგრამ 2-3 კვირაში ალბათ დაწყნარდებიან, შერიგდებიან-მორიგდებიან. მე ვთვლი, რომ, სამწუხაროდ, ნაციონალური მოძრაობის გარეშე ვერ დავამარცხებთ „ქართულ ოცნებას“. ორპროცენტიანი პარტიები ვერ გადაწყვეტენ ამ ქვეყნის ბედს. ამიტომ ვფიქრობ, რომ სამი-ოთხი მსხვილი, მაღალპროცენტიანი პარტია უნდა დარჩეს პოლიტიკურ ველზე. ალბათ საქართველოს პოლიტიკური მომავალი სამ-ოთხ პარტიასთან იქნება მიბმული. ბუნებრივად მოხდება ასე. ეს იქნება პროცესი, რომელსაც ვერ ავცდებით.

***— თუმცა მანამდე „ქართულ ოცნებას“ პრეტენზია აქვს, რომ 2024 წლის არჩევნებიც მოიგოს და კიდევ ერთი ვადით დარჩეს ხელისუფლებაში.***

— როგორ?! რანაირად?! ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, იმაზე დიდი უბედურება რა უნდა იყოს, ამ პატარა ქვეყანას სამი მთავრობა რომ ჰყავს — სოხუმში, ცხინვალსა და თბილისში. ამ ქვეყნის დეოკუპაციაზე უნდა იყოს ზრუნვა და 24-საათიანი ფიქრი, როგორ გაიყვანონ ქვეყნიდან რუსული ჯარები და ნაწილები. ამის ნაცვლად ლავროვი ყოფაქცევაში გვაქებს და ბონუსად ფრენების აღდგენას გვპირდება.

ხელისუფლებას ათი წლის თავზე არცერთი სიტყვა არ დასცდენია, რას აპირებს, როგორ უნდა გადაწყვიტოს კონფლიქტი. ახლა რაღაცნაირად ჩნდება შანსი, რომ როგორმე მივებათ იმ გლობალურ პროცესს, რომელსაც რუსეთის დამარცხება, დასუსტება ჰქვია, როგორმე მივებათ უკრაინას და ჩვენც გავთავისუფლდეთ რუსული ჩექმისგან, რუსული აგრესიისგან. ამის ნაცვლად რას ვისმენთ — თურმე ვიღაცები რუსეთთან გზების აღდგენაზე საუბრობენ. არა მგონია, ამას ქართველი ხალხი შეურიგდეს.

## მიხეილ სააკაშვილს სასჯელი არ გადაუვადა, მოსამართლემ პატიმრობაში დატოვა




მოსამართლე გიორგი არევაძემ მიხეილ სააკაშვილის სასჯელის გადავადების ან გათავისუფლების საქმეზე დაცვის მხარის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და საქართველოს მესამე პრეზიდენტი პატიმრობაში დატოვა. ამის შესახებ მან გუშინ დასკვნით სხდომაზე გამოაცხადა.

მანამდე საქალაქო სასამართლოში საქართველოს მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სასჯელის გადავადების ან გათავისუფლების საქმეზე სხდომა დასკვნითი სიტყვებით განახლდა, გადაწყვეტილება კი მოსამართლე არევაძემ სწორედ ადვოკატებისა და პენიტენციარული სამსახურის წარმომადგენლების მოსმენის შემდეგ გამოაცხადა.

## მიხეილ სააკაშვილი: „მე ვერაფერი გამტეხს. ახლა გაბრაზებისა და ბრძოლის — ყველა ძალის გაერთიანების დროა“




საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ ვერაფერი გატეხს და ახლა „გაბრაზებისა და ბრძოლის“ დროა.

შესაბამისი განცხადება მიხეილ სააკაშვილმა ფეისბუქზე გააკეთა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ სასამართლომ სასჯელის გადავადების შესახებ მისი ადვოკატების შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

— მე ვერაფერი გამტეხს! ახლა გაბრაზებისა და ბრძოლის დროა! ყველა ძალის გაერთიანების დროა! ჩვენ რუსეთისთვის გადასაცემი საქართველო არ გვაქვს! — წერს სააკაშვილი.

## მამუკა მდინარაძე: „შემიძლია, ყველა დავარწმუნო, რომ ნებისმიერი ერთი არასწორი ნაბიჯი პასუხგაცემული იქნება“

— ნაციონალური მოძრაობა კატეგორიულად უარყოფდა საქართველოს ომში ჩართვის სურვილს, ამავდროულად, იმუქრება ქვეყნის შიგნით სამოქალაქო ომით და სისხლისღვრით. შემიძლია, ყველა დავარწმუნო, რომ ნებისმიერი ერთი არასწორი ნაბიჯი პასუხგაცემული იქნება კანონის ყველა მოთხოვნით, — ამის შესახებ საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, მამუკა მდინარაძემ პარტიის ოფისში განაცხადა, რითაც უპასუხა კითხვას, როგორ შეაფასებს ნაციონალური მოძრაობის მხრიდან ომის მუქარას.

როგორც ის განმარტავს, საყურადღებოა რადიკალური და სიძულვილით სავსე რიტორიკა, რომელიც ომისკენ მოწოდებებს შეეხება.

— ნება მათია, აირჩიეს ხაბეიშვილი, პოლიტსაბჭო. ახმოვანებენ ომის მოწოდებებს. ყველაზე მთავარია ის კოორდინაცია, საერთო და დალაგებული მესიჯი, ასევე ის, თუ ვინ ახმოვანებინებს ამ მესიჯებს.

ისინი (ნაციონალური მოძრაობა) დღემდე კატეგორიულად უარყოფდნენ საქართველოს ომში ჩართვის სურვილს, ამავდროულად, იმუქრებიან ქვეყნის შიგნით სამოქალაქო ომით და სისხლისღვრით. პირდაპირი მუქარა აქვთ, რომ ომი იქნება საქართველოში. ამასთან, ემიჯნებიან, არა, ჩვენ ომზე არ ვსაუბრობთო და ამ დროს შიგნით იქნება ომიო, ქართველებს ემუქრებიან ომით. ის კოორდინაცია და მასშტაბი, რა კოორდინაციითაც ისინი ამ მესიჯებს ალაგებენ ყურადსაღებია, მაგრამ ამის აღსრულების რესურსი, საბედნიეროდ, მათ არ გააჩნიათ. საყურადღებოა რადიკალური და სიძულვილით სავსე რიტორიკა, რაც პირდაპირ ომისკენ მოწოდებებს შეეხება. საზოგადოება ამასთან დაკავშირებით დასკვნებს გამოიტანს. შემიძლია ყველა დავარწმუნო, რომ ნებისმიერი ერთი არასწორი ნაბიჯი პასუხგაცემული იქნება კანონის ყველა მოთხოვნით, — აღნიშნა მდინარაძემ.

## ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენს ხალხს სურსათის შეძენა თითქმის 100%-იანი ფასნამატით უწევს, რაც კატეგორიულად მიუღებელია“



— ვახსენე ინფლაცია და მინდა, ჩვენი საზოგადოებისთვის კიდევ ერთხელ გარკვეული განმარტება გავაკეთო. მე რამდენიმე კვირის წინ დავავალე კონკურენციის სააგენტოს სურსათის პროდუქტების ფასების შესწავლა. მაინტერესებდა, რამდენად კეთილსინდისიერად მუშაობენ იმპორტიორები და რამდენად გონივრული, ასე ვიტყოდი, მარჟებით, მოგებით მუშაობენ იმპორტიორები. შედეგი მართლაც იყო შემაშფოთებელი. და მე მინდა, საზოგადოებას წარვუდგინო ეს პირველადი მოკვლევის შედეგები. ძირითადი პროდუქტები დავამუშავებინე და აღმოჩნდა, რომ, მაგალითად, ბრინჯი იქნება ეს თუ წიწიბურა, მაკარონი, შაქარი, მარილი, ზეთი, საბითუმო ფასებზე დამატებულია, ჯერ გასაყიდ ფასს არ ვამბობ, 50-60-70-80% არის ფასნამატი საბითუმო ფასებზე. ამას ემატება, რა თქმა უნდა, შემდეგ უკვე საცალო ფასები. ფასნამატი მინიმუმ 25-30%-ია და გამოდის, რომ ჯამში ჩვენს მოსახლეობას, ჩვენს ხალხს უწევს თითქმის 100%-იანი ფასნამატით შეძენა, რაც, რა თქმა უნდა, კატეგორიულად მიუღებელია, — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

ირაკლი ღარიბაშვილმა შესაბამის მინისტრებს სურსათის იმპორტიორებთან შეხვედრა და პროდუქტების მაღალ ფასებთან დაკავშირებით გამოსავლის გზების მოძებნა დაავალა.

— ჩვენი მხრივ, მთავრობა, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ ეს ვითარება, რაც დღეს ქვეყანაში გვაქვს, არის მიღწეული და შენარჩუნებული. ამ დროს, იმპორტიორების მხრიდან ასეთი დამოკიდებულება არის აბსოლუტურად მიუღებელი. ამიტომ, მე მინდა დავავალო დღეს მთავრობის სხდომაზე ეკონომიკის, ფინანსთა და სოფლის მეურნეობის მინისტრებს, რომ სასწრაფოდ გააკეთოთ სამუშაო ჯგუფი, დაიბაროთ ყველა ის მსხვილი იმპორტიორი, დაიწყოთ ამ საკითხების შესწავლა და მოახდინოთ შესაბამისი რეაგირება. მე მაქსიმუმ ორ კვირაში უნდა მქონდეს მაგიდაზე სრული სურათი შესაბამისი გამოსავლის გზებით, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე ასევე ისაუბრა ქვეყანაში ნავთობის იმპორტიორების მხრიდან მაღალ ფასნამატზე: „მაღალი მოგებით მუშაობენ ჯერ კიდევ ნავთობის იმპორტიორები, რაც მიუღებელია. მინდა მოგმართოთ თქვენ, ბატონო მინისტრებო, უნდა დაიბაროთ თქვენ ნავთობის იმპორტიორები და აქაც მოვახდინოთ რაღაც გონივრულ ზღვარზე ფასების ჩამოწევა“.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, არ შეიძლება, რომ ერთ ლიტრ ბენზინზე იყოს თითქმის ერთ ლარამდე ფასნამატი.

— მეორე საკითხზე მინდა ასევე მოგახსენოთ. ჩემი დავალებით, კონკურენციის სააგენტომ დაიწყო ნავთობის ბაზრის შესწავლა. თებერვლის ბოლოს წარმოადგენენ უკვე ოფიციალურად დადასტურებულ საბოლოო სურათს. აქაც ჩვენი ჩარევის შედეგად დარეგულირდა, შემცირდა ფასები, მაგრამ დეკემბრის მონაცემები მიდევს ახლა და აქაც ვხედავ, რომ არსებობს მაღალი მარჟები და მაღალი მოგებით მუშაობენ ჯერ კიდევ ნავთობის იმპორტიორები, რაც ასევე მიუღებელია. მინდა მოგმართოთ თქვენ, ბატონო მინისტრებო, უნდა დაიბაროთ თქვენ ნავთობის იმპორტიორები და აქაც მოვახდინოთ რაღაც გონივრულ ზღვარზე ფასების ჩამოწევა. არ შეიძლება, რომ ერთ ლიტრ ბენზინზე იყოს 80, 90-თეთრიანი და თითქმის ერთ ლარამდე ფასნამატი. ამიტომ ამას სჭირდება ძალიან კარგი შესწავლა და მინდა გამოვთქვა იმედი, რომ ამ ჩვენს მოწოდებას და პოზიციას გაითვალისწინებენ და ანგარიშს გაუწევენ. აუცილებელია ამ საკითხის დარეგულირება მაქსიმალურად მოკლე დროში. ეს არის ჩემი პრინციპული პოზიცია. წამლებზე გახსოვთ, ძალიან ბევრი წინააღმდეგობა იყო იმპორტიორების მხრიდან, მაგრამ აღმოჩნდა, რომ, თურმე, ძალიან მარტივად შეიძლებოდა ამ საკითხის მოგვარება. ამიტომ, მჯერა, რომ ეს ადამიანები, ჩვენი თანამოქალაქეები, იმპორტიორები გაითვალისწინებენ ჩვენი ხალხის მდგომარეობას, არსებულ ვითარებას და დაიწყებენ ფასების შემცირებას, — განაცხადა პრემიერმა.

# „გაერომ ომი ვერ გააჩერა“

## უკრაინელი თადარიგის მაიორი: „ყირიმის დაბრუნება უკრაინის შემადგენლობაში რუსეთში დესტაბილიზაციას გამოიწვევს“

მარიამ მჭედლიშვილი



უკრაინაში ომის საშინელება არ წყდება, თუმცა მოქმედებები ინტენსიური არ არის და ამ პერიოდს სპეციალისტები ოპერატიულ პაუზად აფასებენ. ვისთვის შეიძლება გახდეს ეს პაუზა სარგებლობის მომტანი? რა შედეგს გამოიღებს რუსეთისთვის ოკუპირებული ყირიმის შესაძლო დაკარგვა? რას ნიშნავს დემილიტარიზებული ზონები, რომელთა შექმნაზე საუბრობენ ომის დამთავრების შემდეგ? — ამ საკითხებზე უკრაინულ მედიას ესაუბრა რუსეთ-უკრაინის ომის ვეტერანი, თადარიგის მაიორი ალექსეი გეტმანი.

***— ომის შესწავლის ინსტიტუტში განაცხადეს, რომ შეიარაღების არასაკმარისი მოწოდების გამო ომი უკრაინაში პოზიციური გახდა. გამოცემა „ბლუმბერგმა“ კი ივარაუდა, რომ კრემლის მეთაური პუტინი დაინტერესებულია ომით, რომელიც წლები გაგრძელდება. ომის გაჭიანურების საფრთხე მართლაც არსებობს?***

— ახლა მართლაც პოზიციური ომია. ფრონტის ხაზზე ჯერ არ არსებობს არსებითი სვლა. იგივე ომის შესწავლის ინსტიტუტი და ნატოს გენერალური მდივანი სტოლტენბერგი აღიარებენ, რომ არცერთ მხარეს არა აქვს ძლიერი მოქმედებების განხორციელების საშუალება.

რუსეთის ფედერაცია ამისთვის მზად არ არის. ის ახდენს ხალხის მობილიზაციას, შემოაქვს ტექნიკა და შეიარაღება. უკრაინას ჯერჯერობით არ მიუღია ტექნიკის ის რაოდენობა, რომელსაც დაჰპირდნენ „რამშტაინ 8“-ზე და შესაძლოა გამოუყონ „რამშტაინ 9“-ზე, რომელიც გაიმართება 14 თებერვალს.

ამრიგად, ახლა გარკვეული ტაქტიკური პაუზაა. ადგება თუ არა ის უკრაინას? საბოლოო ჯამში, არც ისე, ვინაიდან ეს რუსეთის ფედერაციას აძლევს საშუალებას, შეკრიბოს სამხედრო მოსამსახურეების დიდი რაოდენობა შეჯახების ხაზზე. მეორე მხრივ, ეს პაუზა შეიძლება ჩვენთვის სასარგებლოც იყოს. ჩვენი პარტნიორებიც მოგვიწოდებენ, არ დავიწყოთ (ამ მომენტში) აქტიური ქმედებები. ისინი გვეხმარებიან მძლავრი კონტრშეტევის მომზადებაში.

პაუზა იმას წაადგება, ვინც შეძლებს მის უკეთ გამოყენებას, ვინც მოიზიდავს ძალებისა და საშუალებების გარკვეულ რაოდენობას და ვინც პირველი წავა შეტევაზე. ვინც ამას მოახერხებს, უპირატესობაც მის მხარეს იქნება. შეტევა რუსეთმაც რომ დაიწყოს, ჩვენ დაცვისთვის საკმარისი საშუალებები გვაქვს. ამის გამო მტერი არსებითად წინ ვერ წაიწევს.

***— ამერიკელი გენერლის ბენ ხოჯესის შეფასებით, ყირიმი გახდება უკანასკნელი პლაცდარმი ამ ომში. ნახევარკუნძულის იზოლირებისთვის უკრაინის არმიას სჭირდება დიდი სიშორის რაკეტები. ეთანხმებით?***

— ნებისმიერი ომი ჰიბრიდულია. მასში გამოიყენება შეიარაღებული ძალები, აგრეთვე ეკონომიკური, დიპლომატიური, საინფორმაციო და სხვა ბერკეტები. მოწინააღმდეგეზე გავლენას ახდენს არამარტო სამხედრო მოქმედებები. გერასიმოვმა, რომელიც ახლა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალებს მართავს და რომელიც ბევრს წერდა ჰიბრიდულ ომზე, განაცხადა, რომ ძირითადი ძალისხმევა უნდა მოხმარდეს არა ბრძოლის ველს, არამედ მის გარშემო არსებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა საკითხებს. ყირიმის გათავისუფლებისთვის ჩვენ დაგვჭირდება შორსმსროლელი იარაღი. მისი საშუალებით გადავჭრით საშუალებების მოწოდების სახმელეთო გზებს ყირიმში რუსეთის არმიის დაჯგუფებისათვის, შემდეგ დავანგრევთ ქერჩის ხიდს. ამ შემთხვევაში ყირიმი აღმოჩნდება ოპერატიულ გარემოცვაში და რუსებს რაიმეს მომარაგება შეეძლებათ მხოლოდ საზღვაო გზით. მაშინ შევძლებთ იერიშს ყირიმში არსებულ სამხედრო ბაზებზე. ამისათვის დაგვჭირდება შორი მანძილის რაკეტები და ყირიმსაც გავათავისუფლებთ.

ყირიმის გათავისუფლება იქნება მძლავრი პოლიტიკური დარტყმა რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობისთვის. მგონია, რომ ეს გამოიწვევს დესტაბილიზაციას ქვეყნის შიგნით. ამის შემდეგ პუტინი ხელისუფლებას ვერ შეინარჩუნებს. მაშინ გაგვიადვილდება უკრაინის მთელი ტერიტორიის გათავისუფლება.

ბევრი მიიჩნევს, რომ საზღვარზე არ უნდა გავჩერდეთ და უნდა წავიწიოთ რუსეთის ტერიტორიაზე. კრემლზე უკრაინის დროშის აღმართვაზე არავინ საუბრობს, 200-300 კილომეტრის მანძილზე დემილიტარიზებული ზონის შექმნა კი აუცილებელია, დროებით მაინც, რათა არ დავუშვათ, რომ ნახევარი ან ერთი წლის შემდეგ ორკები ისევ შეესიონ ჩვენს ტერიტორიას.

ვიტყვი კიდევ ერთ ასპექტზე — რამშტაინის ფორმატზე. რამშტაინი — ესაა ანტიპუტინური კოალიციის შეხვედრები ჩვენი მხარდამჭერი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების დონეზე. მინისტრების დიდმა უმრავლესობამ შესანიშნავად იცის სამხედრო საქმე და იყენებს ბრიტანული და ამერიკული დაზვერვის მონაცემებს. მათ კარგად იციან, რომელი იარაღი როდის გვჭირდება. ამიტომ, არ ვფიქრობ, რომ რამშტაინზე რაიმე პრობლემები იყოს.

***— გთხოვთ დააზუსტოთ, როგორი იქნება დემილიტარიზებული ზონები პრაქტიკაში?***

— ამის მსგავსი რამ არსებობდა მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა გერმანია დროებით ოკუპირებული იყო მოკავშირეების ჯარების მიერ. მაშინ შეიქმნა გარკვეული დემილიტარიზებული ზონები. ამ ზონებში გარკვეული ხნით უნდა განლაგდნენ ჩვენი სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც გააკონტროლებენ სიტუაციას. ეს უფრო პოლიციური მისია იქნება, ვიდრე სამხედრო, გაეროს ცისფერი ჩაფხუტების მსგავსი. მგონია, რომ იქ უნდა განთავსდეს რომელიმე საერთაშორისო სტრუქტურა, რომელიც გააკონტროლებს ამ ტერიტორიებს, რათა იქ არ იყოს მომზადება აგრესიული ქმედებებისათვის. გერმანიის შემთხვევაში ეს 4 წელიწადი გრძელდებოდა.

ესაა გაეროს გადასაწყვეტი საერთაშორისო საკითხი. გაერო, სულ ცოტა, რეფორმირებას საჭიროებს. ამ ორგანიზაციამ ვერ შეძლო დიდი ომის შეჩერება. ამ ომის შემდეგ გაეროშიც ბევრი რამ შეიცვლება და სხვა საერთაშორისო სტრუქტურებშიც, ალბათ, ნატოს ბლოკშიც. ღმერთმა ქნას, რომ ეს ისინი უკრაინისთვის სასარგებლო იყოს.

## ოზურგეთში საჯარო სკოლის სახურავიდან კაცი გადმოვარდა და ადგილზე დაიღუპა

ოზურგეთში, ანასეულის მეხუთე საჯარო სკოლის სახურავიდან კაცი გადმოვარდა და ადგილზე დაიღუპა. არსებული ინფორმაციით, ის სარემონტო სამუშაოებს ასრულებდა.

ადგილზე იმყოფება პოლიცია და სამაშველო სამსახურის ეკიპაჟი.

## თბილისში 29 იანვარს მომხდარი ავარიის შედეგად დაშავებული 19 წლის ბიჭი გარდაიცვალა

თბილისში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ქუთაისელი ნიკა მამისეიშვილი გარდაიცვალა. ავარია თბილისში 29 იანვარს მოხდა. აღმაშენებლის ხეივანზე მსუბუქი ავტომობილი მოტოციკლეტს შეეჯახა.

დაშავებული 19 წლის ახალგაზრდა რამდენიმე დღე თბილისში საავადმყოფოში იყო მოთავსებული, თუმცა ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

ცნობილია, რომ ქუთაისელი ახალგაზრდა თბილისში სწავლობდა.

— 29 იანვარს თბილისში, აღმაშენებლის ხეივანზე ავარიაში მოყვა, მეგობარს ეჯდა უკან მოტოციკლეტზე. ამ დღეების განმავლობაში საავადმყოფოში იბრძოდა სიცოცხლისთვის, თუმცა, სამწუხაროდ, გუშინ ღამით დაგვტოვა. უნივერსიტეტში სწავლობდა თბილისში, პარალელურად სამხედრო სამსახურში მსახურობდა. რამდენიმე დღით თბილისში იქნება დასვენებული. ოთხშაბათს გადმოვასვენებთ ქუთაისში, ტაძარში. ხუთშაბათს ბოლო გზაზე გავაცილებთ, — ამბობს დაღუპულის მეგობარი ნიკო მანაგაძე.

## თურქეთში მიწისძვრას კიდევ ერთი ქართველი ემსხვერპლა



საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, თურქეთში მიწისძვრის შედეგად საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე დაიღუპა.

— თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოში შემოვიდა შეტყობინება მიწისძვრის შედეგად საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქის გარდაცვალების შესახებ. საელჩოს თურქეთის ქ. ანთაქიაში საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქის — ო.ც.-ს გარდაცვალების შესახებ თვითმხილველმა აცნობა.

საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები 24-საათიან რეჟიმში მუშაობენ თურქეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეების თაობაზე ინფორმაციის მიღებისა და მათი დახმარების მიზნით. საელჩო ხაზზეა გარდაცვლილის ოჯახთან, ასევე თურქეთის შესაბამის უწყებებთან, — ნათქვამია განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ თურქეთსა და სირიაში დამანგრეველი მიწისძვრის შედეგად, სულ მცირე, 2300 ადამიანი დაიღუპა, ათასობით კი დაშავებულია. ორივე ქვეყანაში სამძებრო სამაშველო სამუშაოები გრძელდება. გუშინ თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში 7 მაგნიტუდაზე მაღალი სიმძლავრის განმეორებითი მიწისძვრა მოხდა.



ცნობილია ისიც, რომ დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ თურქეთსა და სირიაში, სულ მცირე, 120 მიწისქვეშა ბიძგი დაფიქსირდა.

დღის განმავლობაში საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოში შევიდა ინფორმაცია მიწისძვრის შედეგად ქალაქ ანთაქიაში საქართველოს მოქალაქის ნ.ზ.-ს გარდაცვალების შესახებ.

## სენაკში მეზობელმა მეზობელი ნაჯახით დაჭრა

სენაკში, შხეფის დასახლებაში, მეზობელმა 60 წლამდე მეზობელს ნაჯახით დაზიანებები მიაყენა. კაცს ადგილობრივ კლინიკაში ოპერაცია ჩაუტარდა. ამ დროისთვის მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

დაპირისპირება მეზობლებს შორის ყოფით ნიადაგზე მოხდა. დაშავებული კლინიკაში რჩება. სხვა დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

## სამაშველო ღონისძიებებში ჩართვის მიზნით საქართველოდან თურქეთში მაშველები გაემგზავრნენ



საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, თურქეთში მომხდარი მიწისძვრის გამო, სამაშველო ღონისძიებებში ჩართვის მიზნით, თურქეთში მაშველები გაემგზავრნენ, ასევე გაიგზავნა შესაბამისი ტექნიკა.

როგორც შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, თურქეთში მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის შედეგებზე რეაგირების სამუშაოებში ჩართვის მიზნით საქართველოდან გაიგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის განსაკუთრებულ სიტუაციებზე რეაგირების მთავარი სამმართველოს ბაზიდან 60 მეხანძრე-მაშველი, ასევე — შესაბამისი სამაშველო აღჭურვილობა და ტექნიკა.

ქართველი მეხანძრე-მაშველების ჯგუფი, რომელიც თურქეთში გაემგზავრა, დაკომპლექტებულია მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო და სამაშველო ღონისძიებების განხორციელების მიმართულებით გადამზადებული მეხანძრე-მაშველებით. ქართველი მეხანძრე-მაშველების სამაშველო საქმიანობის კოორდინაციას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი თეიმურაზ მღებრიშვილი პირადად ხელმძღვანელობს. დღესვე, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრ სულეიმან სოილუს სამინისტროს სახელით სამძიმრის წერილი გაუგზავნა და მომხდარის გამო მწუხარება გამოთქვა.

# „საქართველო ევროპაში კორუფციის დაბალი დონით ერთ-ერთი მოწინავეა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

სვლას აჩვენებს. აქედან გამომდინარე, შარშანდელ განცხადებაზე ვერაფერს გეტყვით. სამწუხაროდ, ხდება ხოლმე, როცა ოფიციალურ სტრუქტურას პოლიტიკური კონიუნქტურა არ მოსწონს.

არაერთი პოლიტიკური სპეკულაცია და არასწორი განცხადება ვიხილეთ, თუმცა, ოფიციალური ანგარიშებით, ყველაფერი ნათელი ხდება. როდესაც ქვეყანაში კორუფციაზეა ლაპარაკი, აღმოჩნდება, რომ საქართველო ევროპაში ერთ-ერთი მოწინავეა კორუფციის დაბალი დონით, როდესაც ამბობენ, ეკონომიკური თვალსაზრისით საქართველო არასწორი მიმართულებით ვითარდებაო და აღმოჩნდება, რომ ორნიშნა ეკონომიკური ზრდაა.

ამიტომ, ერთია პოლიტიკური ინტერესებიდან გაკეთებული განცხადება და სხვაა რეალობა. 21-ე საუკუნეა და საზოგადოება ამ ყველაფერს ძალიან კარგად აფასებს. ამიტომ სუბიექტური დამოკიდებულების მქონე საერთაშორისო თუ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია რას იტყვის, მეათასეხარისხოვანია.

***— ასეთი განცხადებები ძირითადად მმართველ გუნდს ურტყამს. 2004-2012 და 2012-2023 წლების მმართველ გუნდებს თუ შევადარებთ, როდესაც ნაცმოძრაობის მმართველ გუნდს აქებენ, ხოლო „ოცნების“ გუნდს აკრიტიკებენ, იქ რაღაც იდეოლოგიურ კლიშეებთან გვაქვს საქმე თუ სხვა რამ ხდება?***

— არავითარი იდეოლოგიური კლიშე არ არსებობს. ბავშვებმაც კი იციან, რომ საქართველოში 2003-2012 წლებში ხელისუფლებაში მოვიდა ხალხი, რომელსაც გარკვეული ძალები ლობირებდნენ, რაღაც პროექტით წარმოდგნენ მიხეილ სააკაშვილის თამადობით. მიხეილ სააკაშვილმა არაერთი რეფორმა წამოიწყო.

ამავდროულად, სააკაშვილმა არაერთი სისტემის ნგრევა დაიწყო. იქ იყო მცდელობები, რაღაც სწორად გაკეთებულიყო, მაგრამ, სწორად გაკეთებულთან ერთად, ბევრი საშინელება ხდებოდა — სამსახურებიდან ადამიანების მასობრივი გათავისუფლებები, ადამიანების ჩარეცხილებად შერაცხვა, განათლების სამინისტროსა და მთელი სისტემის ნგრევა და ბევრი უბედურება მოხდა.

ამაზე ბევრი საერთაშორისო აქტორი თვალს ხუჭავდა. მათ არსებულ ვითარებაზე ინფორმაცია ჰქონდათ, თუმცა, რადგან ნაცმთავრობა მათი გავლენის სფეროში ექცეოდა, უსიტყვოდ ემორჩილებოდა და იმ თამაშს თამაშობდა, რომელიც დასავლელ ლობისტებსა თუ ჩრდილოელ მმართველს აწყობდათ, არაფერს ამბობდნენ.

2012 წლის შემდეგ პირველი პრეცედენტი გაჩნდა და საქართველოს მთავრობამ გაახმოვანა განცხადებები, რომ ჩვენმა ქვეყანამ თავისი პოლიტიკა უნდა აწარმოოს. ამის ლაკმუსის ქაღალდი უკრაინა-რუსეთის კონფლიქტი გახდა, როდესაც უკრაინიდან კონკრეტული სამხედრო ესკალაციის რკალი იწყებოდა და უნდა გაგრძელებულიყო კავკასიაში, რუსეთის წინააღმდეგ სიტუაცია კავკასიაშიც უნდა აფეთქებულიყო, რაც არ მოხდა. ამიტომ ჩვენთვის არასასიამოვნო განცხადებები გაჩნდა.

# ვინ არის საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აშშ-ში შეკვეთილი მკვლელობისთვის 30 ათასი დოლარი გადაუხადეს

ტრანსნაციონალური დანაშაულის საქმე – ირანელი ჟურნალისტი მასიჰ ალინეჯადი მოსაკლავად გაიმეტეს, თუმცა FBI-მ დანაშაული აღკვეთა – შეკვეთილი მკვლელობის მცდელობის ბრალდებით საქართველოს მოქალაქეა დაკავებული. გამოძიებით დგინდება, რომ ირანული წარმოშობის ჟურნალისტის ლიკვიდაციას ირანის რევოლუციური გვარდიის დაკვეთით ქართულ-აზერბაიჯანული მაფია გეგმავდა.

ნიუ იორკში დაგეგმილი შეიარაღებული თავდასხმის დეტალებზე პირადად შეერთებული შტატების გენერალურმა პროკურორმა ისაუბრა. დადგინდა, რომ ირანის რევოლუციური გვარდიის დაკვეთით და კანონიერი ქურდების შუამავლობით, დაქირავებული ქილერი ბრუკლინში, ირანელი ჟურნალისტის, მასიჰ ალინეჯადის მკვლელობას ამზადებდა. მკვლელი, სახელად ხალიდ მეჰდიევი, სამიზნესთან ახლოს იყო, თუმცა შეთქმულება ფედერალური გამოძიების ბიურომ ჩაშალა.

FBI-ის გამოძიებით დგინდება, რომ ირანის რევოლუციურმა გვარდიამ „კანონიერ ქურდს“ რაფეტ ამიროვს დაავალა, მოეძებნა სანდო პირი, ვინც შეერთებულ შტატებში ემიგრირებულ ჟურნალისტს მოკლავდა. ამიროვი, თავის მხრივ, დაუკავშირდა საქართველოს მოქალაქეს, კრიმინალურ ავტორიტეტ ფოლად ომაროვს, რომელმაც ნიუ იორკში ქილერიც მოიძია და ავანსის სახით 30 ათასი დოლარიც გადაუხადა.

„რუსთავი 2“ გაეცნო ტრანსნაციონალური დანაშაულის საქმეზე ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ მომზადებულ საბრალდებო დასკვნას. 25-გვერდიან დოკუმენტში ასახულია დაჯგუფების წევრებს შორის სატელეფონო მიმოწერა და ფოტოები, რომელიც დაქირავებულმა ქილერმა სამიზნის სახლთან გადაიღო.

ვინ არის საქართველოს მოქალაქე ფოლად ომაროვი, რომელმაც ქილერს პირადად დაუკვეთა ჟურნალისტის მკვლელობა? საბრალდებო დასკვნაში მის შესახებ ასეთ ჩანაწერს ვკითხულობთ: – „ფოლად ომაროვი, მეტსახელად „ჰაცი ქაქა“, საქართველოს მოქალაქე. ის იკავებს ლიდერის პოზიციას დანაშაულებრივ ორგანიზაციაში. ცხოვრობდა აღმოსავლეთ ევროპაში და ფლობს პირადობის დამადასტურებელ ყალბ დოკუმენტებს“.



ღია წყაროებით დგინდება, რომ ფოლად ომაროვის სახელს უკავშირდება გატაცებების, მკვლელობებისა და ბიზნესმენებისგან ფულის გამოძალვის არაერთი ეპიზოდი, მათ შორის უკრაინაში, რუსეთსა და საქართველოში. ის არის 2020 წელს სტამბოლში მოკლული კრიმინალური სამყაროს ლიდერის, ნადირ სალიფოვის უახლოესი გარემოცვის წევრი. ფოლად ომაროვთან ერთად ამავე კლანის წარმომადგენელია ირანელი ჟურნალისტის მკვლელობის მომზადებაში მხილებული რაფეტ ამიროვიც, რომელსაც ე.წ. კრიმინალური გვირგვინი 2014 წელს, ქართველმა „კანონიერმა ქურდებმა“ ანტალიაში დაადგეს.

ჟურნალისტი და დისიდენტი მასიჰ ალინეჯადია ის, ვის ლიკვიდაციასაც ირანის რევოლუციური გვარდიის დაკვეთით ქართულ-აზერბაიჯანული მაფია გეგმავდა. ირანელი ჟურნალისტი ტრანსაციონალური შეთქმულების გამოვლენისთვის სამართალდამცველებს მადლობას უხდის.

**მასიჰ ალინეჯადი, ჟურნალისტი:**

– დიახ, სახე, რომელსაც ახლა უყურებთ, მკვლელობის სამიზნე იყო. მკაფიოდ განვმარტავ, მე არ მეშინია სიცოცხლის დაკარგვის... მოვუწოდებ შეერთებული შტატების მთავრობას რომ მიიღონ მკაცრი ზომები. ტერორისტულ რეჟიმთან მოლაპარაკებას ვერ აწარმოებთ. მადლობა FBI-ის და სამართალდამცავ უწყებებს ჩემი დაცვისთვის. დროა ყურადღება მივაქციოთ უდანაშაულო ადამიანებს ირანში, რომლებიც თავს ვერ იცავენ. მე არ ვარ შეშინებული, ბრძოლას ვაგრძელებ ირანელებისთვის. თუ ახალა მკაცრ ზომებს არ მივიღებთ, მაშინ შტატების მიწაზე უფრო და უფრო მეტ ტერორისტს ვნახავთ.

მასიჰ ალინეჯადი ერთადერთი არ არის, ვისი ლიკვიდაციაც ირანის რევოლუციური გვარდიის დაკვეთით სცადეს. არც შეერთებული შტატებია გამონაკლისი. გასული წლის ნოემბერში საქართველოს უსაფრთხოების სამსახურმა თბილისში ბიზნესმენ იციკ მოშეს მკვლელობა აღკვეთა. საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატის პრეზიდენტი „რუსთავი 2-ს“ უყვება, რომ მის წინააღმდეგ დაგეგმილი შეთქმულების უკან სწორედ ირანის რევოლუციური გვარდიის ქოლგის ქვეშ მოქმედი ყუდსის ძალები იდგა. ბიზნესმენი გვიყვება, რომ მოსალოდნელი საფრთხის მიუხედავად, საქმიანობას განაგრძობს და ხაზს უსვამს იმასაც, რომ საქართველოში თავს დაცულად გრძნობს.

იციკ მოშეს მკვლელობის მზადებისთვის დაკავებულებს თბილისის საქალაქო სასამართლოში უკვე ასამართლებენ. ჟურნალისტ მასიჰ ალინეჯადის წინააღმდეგ დაგეგმილი შეთქმულების საქმეს კი ნიუ იორკის უმაღლესი სასამართლო განიხილავს. ბრალის დადასტურების შემთხვევაში, 30 წლამდე პატიმრობა ელის სამივე ბრალდებულს, მათ შორის, საქართველოს მოქალაქე ფოლად ომაროვს.

## გორში მამაკაცმა ცოლი და სიდედრი მოკლა, შემდეგ კი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა

არსებული ინფორმაციით, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ რეხაში 65 წელს გადაცილებულმა მამაკაცმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ჯერ ცოლი და სიდედრი მოკლა, შემდეგ კი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მეზობლების თქმით, მამაკაცი პოლიციის ყოფილი თანამშრომელი ხვთისო პეტრიაშვილია, იგი მეუღლესთან ერთად სოფელ რეხაში გორიდან საცხოვრებლად რამდენიმე წლის წინ გადავიდა. ახლობლები მომხდარის ვერსიებზე ვერ საუბრობენ. მომხდარ ფაქტზე დაწყებულია გამოძიება.

## კასპის რაიონში ქალი დაჭრეს

კასპის რაიონში ქალი დაჭრეს – თვითმხილველების ინფორმაციით, შემთხვევა სოფელ ლამისყანაში მოხდა. ცნობილია, რომ დაჭრილი კლინიკაშია გადაყვანილი. როგორია მისი მდგომარეობა, ამ დროისთვის უცნობია.

## მთავრობის ადმინისტრაციაში ანტიკორუფციული ბიუროს უფროსობის კანდიდატების შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომაზე შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება გაიმართა

საკონკურსო კომისიასთან გასაუბრებაზე მოწვეულ იქნენ კანდიდატები, რომელთა მიერ წარმოდგენილი განცხადებები/დოკუმენტაცია აკმაყოფილებდა კანონით და დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. გასაუბრებაზე მოწვეულ იქნა 8 კანდიდატი: ზურაბი აზნაურაშვილი; დავით ახალაური; ალექსანდრე კობაიძე; რაჟდენი კუპრაშვილი; ელგუჯა მაკალათია; ბადრი ნიაური; მალხაზ რაშოიანი; ვაჟა ჯანყარაშვილი.



„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის 2016 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით 2023 წლის 6 თებერვალს, სსიპ – ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარედგინება 3 კანდიდატი: ზურაბი აზნაურაშვილი; რაჟდენი კუპრაშვილი; ელგუჯა მაკალათია.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი მისთვის საკონკურსო კომისიის მიერ ანტიკორუფციული ბიუროს უფროსობის კანდიდატების წარდგენიდან 1 კვირის ვადაში ამ კანდიდატთაგან ერთ-ერთს ნიშნავს ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის თანამდებობაზე ან მოტივირებულ უარს აცხადებს ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის თანამდებობაზე აღნიშნულ კანდიდატთაგან რომელიმეს დანიშვნაზე, რისთვისაც იგი სათანადო ბრძანებას გამოსცემს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2022 წლის 22 დეკემბრის №289 და 2022 წლის 30 დეკემბრის №304 ბრძანებებით შექმნილი სსიპ – ანტიკორუფციული ბიუროს უფროსობის კანდიდატთა შესარჩევი საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებითა და „სსიპ – ანტიკორუფციული ბიუროს უფროსობის კანდიდატების შესარჩევი საკონკურსო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საკონკურსო კომისიის 2023 წლის 10 იანვრის დებულების შესაბამისად, სსიპ – ანტიკორუფციული ბიუროს უფროსობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი გამოცხადდა სსიპ – საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით.

## ირაკლი ღარიბაშვილი: „ბოლო ორ წელიწადში 220.000 სამუშაო ადგილი შეიქმნა“

– ჩვენმა მთავრობამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ქვეყანაში არის მშვიდობა, სტაბილურობა, მაღალი ეკონომიკური ზრდა. უმუშევრობა და სიღარიბე არის ისტორიულ მინიმუმზე დასული, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.



როგორც პრემიერმა აღნიშნა, ბოლო ორ წელიწადში შეიქმნა 220.000 სამუშაო ადგილი, ლარის კურსი არის სტაბილური და მთავრობას აქვს ძალიან ბევრი მასშტაბური პროექტი დაგეგმილი, რომლებიც წელს განხორციელდება.

– მინდა, კიდევ ერთხელ შევაფასო არსებული სიტუაცია, მიმდინარე ვითარება. იცით, რომ გასული წელი დავხურეთ ორნიშნა ეკონომიკური ზრდით.

რამდენიმე კვირის წინ გამოქვეყნდა დაზუსტებული მონაცემები, კერძოდ, 10,1% არის 2022 წლის, რაც ნიშნავს იმას, რომ ბოლო ორი წელია ჩვენ გვაქვს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევით არ ყოფილა. ეს არის ჩვენი მთავრობის, ჩვენი ხელისუფლების გააზრებული, გონივრული პოლიტიკის შედეგი. ჩვენთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იყო ორნიშნა ინფლაცია. გასულ წელს იყო პერიოდი, როდესაც ინფლაციამ მიაღწია 12 და 13%-ს, მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში. ეს არის გლობალური გამოწვევა, პრობლემა, რომელიც დაიწყო კორონავირუსის პანდემიის დროს, შემდეგ გაგრძელდა უკრაინის ომის შემდეგ. ამას ევროპაში ომით გამოწვეული ინფლაციაც დაარქვეს.

ჩვენ არ ვიქნებოდით გამონაკლისი ამ შემთხვევაში. ამის მიუხედავად, ჩვენ მოვახერხეთ, რომ ინფლაციის მაჩვენებელი იწყებს დასტაბილურებას. კერძოდ, 9,4%-ია უკვე მიმდინარე ინფლაცია, რაც, შეიძლება ითქვას, რომ გვაძლევს ოპტიმიზმის საფუძველს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ჩვენი ამოცანაა, რომ მაქსიმალურად, კიდევ უფრო შევამციროთ ინფლაცია. მოგეხსენებათ, ფასები არის ის პრობლემა და გამოწვევა, რომელიც დღეს მსოფლიოსა და ჩვენ ხალხს აწუხებს.

ჩვენმა მთავრობამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ქვეყანაში არის მშვიდობა, სტაბილურობა, მაღალი ეკონომიკური ზრდა. უმუშევრობა და სიღარიბე არის ისტორიულ მინიმუმზე დასული. ბოლო ორ წელიწადში შეიქმნა 220.000 სამუშაო ადგილი. ლარის კურსი არის სტაბილური და ჩვენ გვაქვს ძალიან ბევრი მასშტაბური პროექტი დაგეგმილი, რომელიც წელს განხორციელდება, – განაცხადა პრემიერმა.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, ხუდონჰესის არსებული პროექტის მიხედვით, სოფლის, საფლავებისა და ეკლესიის დატბორვა იყო გათვალისწინებული, მთავრობა კი, ახალ პროექტზე მუშაობს იმისთვის, რომ ჰესის აშენების შემთხვევაში დატბორვა აუცილებელი აღარ იყოს.

პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა:

– ასევე ჩვენ გვაქვს ძალიან კარგი ინიციატივა – ჩვენ წელს უკვე უნდა დავიწყოთ 10 ქალაქსა და 10 რეგიონში მსხვილი ურბანული განახლების პროექტი, რაც გულისხმობს სრულ რეაბილიტაციას მსხვილი ქალაქებისა. ჩვენ შევარჩიეთ ტურისტებისთვის ყველაზე მეტად პოპულარული ადგილები როგორიცაა ბორჯომი, ბაკურიანი, წყალტუბო, მესტია, ყაზბეგი, ქუთაისი, ბათუმი და ა.შ. დეტალურ პროგრამას ძალიან მალე წარმოგიდგენთ. აღნიშნულზე ირაკლი ქარსელაძის სამინისტრო მუშაობს ძალიან აქტიურად და რამდენიმე ხანში წარმოვადგენთ ამ გეგმას.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, ყველაფერი კეთდება, რათა ქვეყანაში დადებითი დინამიკა იქნეს შენარჩუნებული.

## პრემიერ-მინისტრმა თავდაცვის მინისტრთან და მოადგილეებთან სამუშაო თათბირი გამართა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს თავდაცვის მინისტრთან ჯუანშერ ბურჭულაძესთან, მის მოადგილეებთან და თავდაცვის ძალების სხვა ხელმძღვანელ პირებთან სამუშაო თათბირი გამართა.

შეხვედრაზე განხილულ იქნა თავდაცვის უწყების მიერ 2023 წელს განსახორციელებელი გეგმები და ის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც მიზნად ისახავს თავდაცვის ძალების გაძლიერებასა და სამხედრო მოსამსახურეების სოციალური პირობების გაუმჯობესებას. საუბარი შეეხო „საქართველოს განვითარების სტრატეგია – ხედვა 2030-ის“ განხორციელების დინამიკას.

ყურადღება გამახვილდა 2023 წელს თავდაცვის გაზრდილ ბიუჯეტზე. აღინიშნა, რომ მიმდინარე წელს საქართველოს თავდაცვის უწყების ბიუჯეტი 260 მლნ ლარით გაიზარდა. ერთი მილიარდ 260 მლნ ლარი პროპორციულად გადანაწილდება ყველა მიმართულებაზე და საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარებას მოხმარდება. 2023 წლის პირველი იანვრიდან ყველა სამხედრო 20%-ით გაზრდილ ხელფასს იღებს.

თავდაცვის მინისტრმა მთავრობის მეთაურს მიაწოდა ინფორმაცია ყველა იმ ძირითად პროგრამასა და პროექტზე, რომლებიც მიმდინარე წლის განმავლობაში განხორციელდება.

სამუშაო თათბირზე ყურადღება დაეთმო ჯავშანსაწინააღმდეგო შესაძლებლობების განვითარების მიმართულებით მიმდინარე პროექტებს.

ჯავშანსაწინააღმდეგო სისტემების შესყიდვის მიზნით გერმანიასთან და ესპანეთთან გაფორმებულია ხელშეკრულებები.

ამერიკის შეერთებულ შტატებთან მიმდინარეობს ჯაველინების დამატებით რაოდენობის შესყიდვის პროცესი.

არაერთი ხელშეკრულებაა მიმდინარე და დასრულების პროცესში საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობების განვითარების მიზნითაც.

2023 წელს პარლამენტთან აქტიური თანამშრომლობით იგეგმება თავდაცვის ახალი კოდექსის მიღება, რომელიც ფუნდამენტურად გააუმჯობესებს სავალდებულო სამხედრო სამსახურს, შექმნის შესაძლებლობებს ძლიერი რეზერვისთვის და გააუმჯობესებს სამხედროების სოციალურ პირობებს.

სამუშაო თათბირზე ასევე განიხილეს ახალი პროექტები და ინიციატივები. ირაკლი ღარიბაშვილმა თავდაცვის მინისტრსა და მოადგილეებს ახალი დავალებები მისცა.

2023, 7 თებერვალი, №26
ახალი თაობა

# საით დაარტყამენ რუსები?!



რუსეთი ფართომასშტაბიან იერიშს გეგმავს. ამის თაობაზე როგორც თავად რუსული, ისე დასავლური მედია იუწყება. სერიოზული ექსპერტები აცხადებენ, რომ შეტევა უკვე დაიწყო. ის, რაც დღეს დონბასში ხდება, სხვა არაფერია, თუ არა იერიშის დაწყება. პარალელურად მიმდინარეობს უკრაინის მთელი ტერიტორიის ფართომასშტაბიანი დაბომბვა.

თანახმად უკრაინის სამხედრო დაზვერვის ცნობისა, დღეს უკრაინის ტერიტორიაზე უკვე 300.000-იანი რუსული კონტინგენტი იმყოფება. სავარაუდოდ, ეს ციფრი 500.000-მდე გაიზრდება. ურალის ქედს იქით უკვე მიმდინარეობს ახალწვეულთა წვრთნა. უახლოეს ხანებში მათ უკრაინის ფრონტზე გადაისვრიან.

ამავე დროს რუსეთი სერიოზულ პრობლემებსაც განიცდის. ახალწვეულებს სათანადო მომზადება არ გაუვლიათ. რუსებს იარაღისა და სამხედრო ტექნიკის დეფიციტიც აქვთ.

– მობილიზაციის შედეგად რუსული კონტინგენტის სიდიდე გაიზრდება, მაგრამ ხარისხით ის უფრო დაბალი იქნება, ვიდრე ის კონტინგენტი, რომელიც გასული წლის თებერვალ-მარტში იყო, – აცხადებს ვაშინგტონში საბჭოთა დაზვერვის ექსრეზიდენტი, პოლკოვნიკი იური შვეცი.

შეტევას წინ უნდა უძღოდეს სათანადო ფსიქოლოგიური მომზადება. დღეს რუსული მედია უკვე ხმამაღლა გაჰყვირის, რომ მალე რუსეთის არმია გადავა ფართომასშტაბიან შტურმზე, რომელიც დაიწყება როგორც დონბასის, ისე უკრაინის სამხრეთის მიმართულებით (ზაპოროჟიე ხერსონი). თავის ტელეინტერვიუში ეს დაადასტურა ფსბ-სთან მჭიდრო კავშირში მყოფმა რუსეთის პატრიარქმა კირილემ.

აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტი ამას არ ეთანხმება. ის ეყრდნობა აშშ-ის სადაზვერვო თანამეგობრობის ინფორმაციას და ასკვნის, რომ ზაპოროჟიეზე შეტევისათვის საკმარისი ძალები რუსეთს არ გააჩნია. ოდესასა და ნიკოლაევზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ზაპოროჟიეში დღეისათვის 450.000 ადამიანი ცხოვრობს. ამხელა ქალაქის აღებას დიდი ძალები სჭირდება. რუსებმა კი პატარა ბახმუტის აღებაც კი ვერ შეძლეს, თუმცა მისი შტურმისათვის სადესანტო ჯარები გადაისროლეს.

– შესაძლოა, ზაპოროჟიეს მიმართულებით შეტევა მართლაც დაიწყოს, მაგრამ ის უფრო ყურადღების გაფანტვა იქნება, – თვლიან ამერიკელი ექსპერტები.

ძირითადი ყურადღება კი დონბასის ოკუპაციას დაეთმობა. პუტინი შეეცდება, დონბასი ამა წლის მარტამდე აიღოს. უახლოეს დღეებში რუსული საოკუპაციო არმია კიდევ უფრო გააქტიურდება. შეტევის ძირითადი ეპიცენტრი დონბასი იქნება. პარალელურად უკრაინის დანარჩენი ტერიტორიის დაბომბვაც გაძლიერდება.




# აშშ-ისა და ბრიტანეთის დაზვერვებმა უკრაინის ხელისუფლება გააფრთხილეს

პუტინი აგრესიის მასშტაბების გაფართოებას აპირებს.

– მოსალოდნელია უკრაინაზე შეტევის გაძლიერება, – აცხადებენ აშშ-ისა და ინგლისის დაზვერვები.

უკრაინის თავდაცვის მინისტრმა რეზნიკოვმა, თავის მხრივ, განაცხადა, რომ უკრაინული არმია მტრის დასახვედრად მზადაა. სავარაუდოდ, შეტევა 10 დღეში დაიწყება.

# რუსეთმა შესაძლოა ბახმუტში ქიმიური იარაღი გამოიყენოს



რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. ყველაზე კრიტიკული ვითარება ბახმუტთან არის. წარმატება არ მოჰყოლია რუსების მცდელობას, მოექციათ ქალაქი რკალში. ამავე დროს ოკუპანტებმა შეძლეს კონტროლის დამყარება ბახმუტ-კონსტანტინოვკის ტრასაზე.

წარმატება დროებითი აღმოჩნდა. უკრაინელთა კონტრშეტევის შედეგად ოკუპანტების განდევნა ტრასიდან მოხერხდა, მაგრამ ბრძოლები გრძელდება და ტრასის გამოყენება კვლავ შეუძლებელია.

ბახმუტთან კავშირი სხვა გზებით ხდება. ერთ-ერთი მათგანია სოფელ ჩასოვი იარზე გამავალი გზა. რუსების ყველა მცდელობა, გაჭრილიყვნენ ბახმუტისაკენ, მარცხით დამთავრდა. ამან ოკუპანტები გააცოფა. უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ანა მალიარის ცნობით, რუსებმა მთელი ძალები ბახმუტთან გადაისროლეს. მზადდება ბახმუტში ქიმიური იარაღის გამოყენებაც. ეს გარკვეულწილად დონბასელ სეპარატისტთა საიტმა „რუსსკაია ვესნამაც“ დაადასტურა.

– უკრაინელები ბახმუტში პროვოკაციას ამზადებენ. ისინი ქიმიური იარაღის გამოყენებას, შემდეგ კი ამის რუსებისათვის გადაბრალებას აპირებენ, – აცხადებს „რუსსკაია ვესნა“.



# უგლედართან ოკუპანტებმა დიდძალ სამხედრო ძალას მოუყარეს თავი

უკრაინის დანარჩენ ტერიტორიაზე ბრძოლები გრძელდება. ბახმუტის გარდა, რუსები უტევენ სვატოვო-კრემენოეს უგლედარის, სოლედარის მიმართულებით.

უგლედართან ოკუპანტებმა დიდძალ სამხედრო ძალას მოუყარეს თავი. აქ არიან როგორც ფირმა „ვაგნერის“ ბანდები, ასევე – მედესანტეებიც.

სვატოვო-კრემენოესთან რუსების წინსვლა უმნიშვნელოა, დაახლოებით 3-5 მეტრი. სოლედართან წინსვლა უფრო მნიშვნელოვანია. მიუხედავად ამისა, რუსებმა თავიანთი სტრატეგიული მდგომარეობის გაუმჯობესება ვერ შეძლეს. ქალაქის გარშემო სიმაღლეები კვლავაც უკრაინელების ხელშია. ისინი სოლედარს სისტემატურად ცეცხლს უშენენ. ოკუპანტების რიგებში დიდი მსხვერპლია.

რაც შეეხება უგლედარს, აქ ოკუპანტების წინსვლის შეჩერება მოხერხდა. იგივე შეიძლება ითქვას ავდეევკისა და მარინსკის მიმართულებით განვითარებულ პროცესებზე.

უკრაინის სამხრეთ რეგიონში ვითარება უცვლელია. რუსების წინსვლა შეჩერებულია. მიუხედავად ამისა, რუსები ზაპოროჟიეს ოლქის სოფლებს სისტემატურად ბომბავენ. იგივე შეიძლება ითქვას ხერსონის ოლქზეც. უკრაინული არმია სულ უფრო ხშირად ახორციელებს რეიდებს ხერსონის ოლქის დნეპრის მარცხენა სანაპიროზე. ეს ტერიტორია დღემდე რუსების მიერ არის ოკუპირებული.

# დანაკარგები რუსი ოკუპანტების რიგებში

ოკუპანტების აგრესიულობის ზრდა მათ რიგებში დანაკარგებს განაპირობებს. დღეისათვის სურათი შემდეგია:

ტანკები – 3.220; არტილერია – 2.226; ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები – 227; თვითმფრინავები – 294; ვერტმფრენები – 284.

განადგურებულია 131.90 ოკუპანტი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**



## საზოგადოება

# ჯემალ ღაღანიძეს სანდრო მიკუჩაძემ სპექტაკლი მიუძღვნა




თეატრისა და კინოს მსახიობს, 89 წლის ასაკში გარდაცვლილ ჯემალ ღაღანიძეს შვილიშვილმა სანდრო მიკუჩაძემ სპექტაკლი მიუძღვნა.

რუსთაველის ეროვნული თეატრის სცენაზე გათამაშდა რობერტ სტურუას სპექტაკლი „ვანო და ნიკო“, რომელიც სანდრომ ბაბუის ხსოვნას მიუძღვნა.

– ამ სპექტაკლს ჯემალისთვის ვითამაშებ! – განაცხადა მსახიობმა.

წლების წინ ასეთივე გადაწყვეტილება მიიღო ჯემალ ღაღანიძემ, როდესაც სპექტაკლით „კავკასიური ცარცის წრე“ გასტროლებზე იმყოფებოდა და მოულოდნელად მამის გარდაცვალების შესახებ შეიტყო. მსახიობმა დედის თხოვნით ბოლომდე ითამაშა. ის იყო მსახიობი, რომელმაც 600-ჯერ ითამაშა „კავკასიურ ცარცის წრეში“ ისე, რომ არცერთი მიზეზით შემცვლელის შეყვანა საჭირო არ გამხდარა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## სპორტი

# ფუტსალის ნაკრები მოლდოვასთან ამხანაგურად ითამაშებს




საქართველოს ფუტსალის ნაკრები თბილისში ამხანაგურ შეხვედრებს ჩაატარებს. ავთანდილ ასათიანის გუნდი, მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მზადების ფარგლებში, თბილისის ოლიმპიურ სასახლეში მოლდოვის წინააღმდეგ ორ შეხვედრას გამართავს. მატჩები 8 და 9 თებერვალს გაიმართება.

ერთია, მოახლოებული თამაშებისთვის საქართველოს ნაკრები ლეგიონერების გარეშე მოემზადება და ასათიანმაც საქართველოს ფუტსალის ლიგაში მოთამაშე 15 ფეხბურთელი გამოიძახა.

**მეკარე:** თორნიკე ბუკია (კსუ), ვახტანგ ტარუნაშვილი (არმია), ბექა ტყემალაძე (ნიუ ვიჟენ ჯორჯიანსი);

**წინა ხაზი:** შოთა თოფურია, ირაკლი თოდუა, ვახტანგ კეკელია, გიორგი ქურდაძე, ვახტანგ ჯვარაშვილი, ნიკა გაბრიჩიძე, დავით ხეჩიკაშვილი (ყველა ნიუ ვიჟენ ჯორჯიანსი), გიორგი ჩიმაკაძე, ჯანიკო გიორგაია (ორივე თსუ), ნიკა კურტანიძე (პსპ), საბა ტყეშელაშვილი, ნიკა ხარატიშვილი (ორივე კსუ).

აქვე გეტყვით, რომ ეროვნული გუნდის მსგავსად, ახალი მთავარი მწვრთნელის ხელმძღვანელობით სადებიუტო მატჩებს საქართველოს ფუტსალის 19-წლამდე ნაკრებიც გამართავს. მათი მეტოქეც მოლდოველები იქნებიან.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## კალეიდოსკოპი

# მოზარდმა პირველივე ცდაზე ლატარიაში ჯეკპოტი მოხსნა




18 წლის კანადელმა ჯულიეტ ლამურმა ჩრდილოეთ ონტარიოდან თავის დაბადების დღეზე პირველად შეიძინა ლატარიის ბილეთი და 48 მილიონი კანადური დოლარი მოიგო.

თავად მოზარდის თქმით, ლატარიის გათამაშებაში მონაწილეობა მას პაპამ ურჩია.

– საყიდლებზე მისულმა, არ ვიცოდი, როგორ უნდა მოვქცეულიყავი, რადგან მანამდე არასოდეს შემიძენია ლატარიის ბილეთი. ამიტომ მამას დავურეკე და მან 6/49 ლოტოს გათამაშებაში მონაწილეობის მიღება მირჩია, – იხსენებს გოგონა.

აღსანიშნავია, რომ ლამური კანადის ისტორიაში ლატარიის ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებული გახდა, რომელმაც ასეთი მსხვილი მოგების მიღება მოახერხა. გოგონა მოგებული ფულით საკუთარი სწავლის დაფინანსებას გეგმავს. მას სწავლის გაგრძელება სამედიცინო უნივერსიტეტში სურს, რომლის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ მშობლიურ ქალაქში დაბრუნებას აპირებს.

– ლატარიაში გამარჯვებამდეც ექიმად გახდომა მსურდა და ახლა საკუთარ ოცნებას ნამდვილად ავისრულებ, ასე რომ, სტიპენდიაზე სანერვიულო აღარ მექნება, – განაცხადა გოგონამ.

ასევე სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ლამურს სამოგზაუროდ წასვლა სურს სხვადასხვა ქვეყნების ქალაქების დასათვალიერებლად და მათი ისტორიისა და კულტურის გასაცნობად, ასევე იქაური სამზარეულოების დასაგემოვნებლად.

# ისტორიაში ყველაზე ხანდაზმული ძაღლი დასახელდა



30 წლის სადარაჯო რაფეირუ დუ ალენტეჟუს ჯიშის ძაღლი, სახელად ბობი, ისტორიაში ყველაზე ხანდაზმულ ძაღლად დასახელდა და ის გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა.

ბობიმ მთელი თავისი ცხოვრება პორტუგალიის ქალაქ ლეირიას მახლობლად მდებარე სოფელში გაატარა. ცხოველის პატრონმა, 38 წლის ლიონელ კოსტამ მამასთან ერთად ის სხვა ახლად დაბადებულ ლეკვებთან ერთად სახლის იმ ნაწილში იპოვა, სადაც შეშას ინახავდნენ. მამაკაცის თქმით, მათ ოჯახს უკვე საკმაოდ ბევრი ცხოველი ჰყავდა, ამიტომ მამამისმა ლეკვების თავიდან მოშორება გადაწყვიტა.

მოგვიანებით კოსტამ, თავის ძმებთან ერთად, იმავე ადგილას კიდევ ერთი ლეკვი იპოვა, რომელიც მანამდე მათმა მამამ ვერ შენიშნა. მათ ლეკვს ბობი დაარქვეს და რამდენიმე კვირის განმავლობაში მშობლებს უმალავდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მალე მშობლებმა სიმართლე შეიტყვეს და შვილები ამისთვის დატუქსეს, მაინც გადაწყვიტეს, რომ ლეკვი თავისთან დაეტოვებინათ.

ბობი ადამიანების მოყვარულ და მხიარულ ძაღლად გაიზარდა და კოსტას საუკეთესო მეგობრად იქცა. ის ჯაჭვით არასოდეს დაუბამთ, ამიტომ ის ხშირად დასეირნობდა მეზობელ ფერმებსა და ტყეში. ხანში შესვლის შემდეგ ბობი უკვე ისეთი აქტიური აღარ იყო. ამჟამად მას სიარული უჭირს და ამიტომ თითქმის მთელ დროს სახლის უკანა ეზოში ოთხ შინაურ კატასთან ერთად ატარებს. მას ასევე გაუუარესდა მხედველობა და ხშირად ეჯახება სხვადასხვა საგნებს. ის ბევრს ისვენებს და ბუხართან წოლა უყვარს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# ლიდერები აგებენ, რუსთავმა რეკორდები დაამყარა

### ბათუმი-კაქტუსი 90:72
### (22:18; 24:13; 21:22; 23:19)

ტური ბათუმში დაიწყო, სადაც ლიდერი კაქტუსი ჩავიდა. ზღვისპირელებმა სატრანსფერო ფანჯარა საკმაოდ ნაყოფიერად გამოიყენეს და ორი მაღალი კლასის ლეგიონერით გაძლიერდნენ. თითქოს, თამაშამდე მასპინძლები აუტსაიდერებად მიიჩნეოდნენ, მაგრამ საბოლოო შედეგმა განსხვავებული პასუხი გაგვცა. ბათუმმა ოთხი მეოთხედიდან მხოლოდ მესამე პერიოდი დათმო, ისიც მინიმალური სხვაობით. სხვა მეოთხედებში სოლიდურ ლიდერობას ინარჩუნებდა და თამაში დამაჯერებლად მოიგო – 90:78.

გამარჯვებაში უდიდესი წვლილი სწორედ ლეგიონერებმა შეიტანეს. კაილი რიდლმა 23 ქულა მოუტანა თავის გუნდს, ხოლო ახალწვეული სეშენ ჯორდანი 16 ქულითა და 8 მოხსნით გამოირჩა. რაიან ალენის 23 ქულა და ჯეისონ კოპმანის 18 მოხსნა საკმარისი არ აღმოჩნდა კაქტუსის წარმატებისთვის.

### კავკასია-თსუ 84:91
### (29:27; 18:16; 15:25; 22:23)

მეორე წრე ლიდერებისთვის წარუმატებლად დაიწყო. კაქტუსმა 2 მატჩიდან ერთი წააგო, კავკასიამ ორივე შეხვედრა დათმო, სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა კი მეტად პრინციპული დაპირისპირება მოიგო.

თსუ-მ თავი ისეთ შემადგენლობას მოუყარა, ჩემპიონობის ერთ-ერთ უმთავრეს კანდიდატად იქცა. გუნდში ეროვნული ნაკრების 3 წევრია, რომელთაგან კავკასიასთან სრული დატვირთვით მხოლოდ ერთმა – ბექა ბექაურმა ითამაშა და თსუ-მ მაინც მოიგო. გიორგი ცინცაძეს ფეხი აწუხებს და მწვრთნელებმა დაასვენეს, ნაკრების კიდევ ერთმა წევრმა – მიხეილ ბერიშვილმა კი, მხოლოდ 9 წუთი ითამაშა და ერთი სამქულიანი მიითვალა. თსუ-მ სრულად დატვირთვა ბოლო დროს შემატებული ლეგიონერები – ჯიმონ ჰენსონი და მალკოლმ დრამრაითი.

სწორედ დაბალანსებული შემადგენლობა იყო იმის მიზეზი, რომ კავკასიამ მეტოქეს გასაღები ვერ მოუძებნა. არადა, კავკასიელებმა თავიდან კარგად დაიწყეს, სწრაფი შეტევებითა და შორი სროლებით ხეირობდნენ, ილია ლონდარიძე კი ფარქვეშეთს ამაგრებდა. მესამე პერიოდამდე კავკასია მხნედ და ლიდერის ამპლუაში მივიდა.

კავკასიამ შესვენების შემდეგაც კარგად დაიწყო და ფორესტის ზუსტი სროლის შემდეგ 11-ქულიანი სხვაობა დაფიქსირდა – 58:47. აი, მესამე პერიოდის დარჩენილი 7 წუთი თსუ-მ 21:4 მოიგო და მეოთხე პერიოდის წინ თსუ 68:62 იგებდა.



საბოლოოდ სტუდენტები გამარჯვებამდეც მივიდნენ. თუმცა, კავკასიამ იბრძოლა და ლონდარიძემ ჩამორჩენა 4 ქულამდე შეკვეცა. კავკასიელთა იმედებს ცივი წყალი ნოდარ გოგოძის სამქულიანმა გადაასხა, რის შემდეგაც, მატჩის დასრულებამდე წუთით ადრე, თსუ-ს ლიდერობა 8 ქულამდე გაიზარდა და მატჩს ინტრიგა მოუსპო.

უნივერსიტეტის გუნდში საუკეთესო სტატისტიკა ბოუენს ჰქონდა – 17 ქულა, 9 მოხსნა, 2 დაფარება. ჯიმონ ჰენსონმა 22 ქულა და 8 მოხსნა მოაგროვა, მალკოლმ დრამრაითმა კი დებიუტი 15 ქულითა და 6 პასით აღნიშნა. 10 ქულა, 8 მოხსნა და 3 პასი ბექა ბექაურმა მიითვალა. კავკასიაში 25 ქულით ბომბარდირი გახდა ილია ლონდარიძე. საერთო სარგებლიანობით საუკეთესო შედეგი აიზია ელისმა დააფიქსირა – 15 ქულა, 12 მოხსნა. კრის მაკნილის ანგარიშზე 17 ქულა და 8 პასი დაგროვდა.

### დელტა-ოლიმპი 84:88
### (25:20; 18:18; 23:24; 18:26)

საქართველოს კალიბრით მაღალი დონის ლეგიონერების ორთაბრძოლა თვალსასეირო გამოდგა. უშეღავათო ბრძოლაში გამარჯვება ოლიმპმა დაიმსახურა. დელტა პირველი წუთიდანვე დაწინაურდა, მაგრამ ოლიმპი წინ გაჭრის საშუალებას არ აძლევდა. ყველაზე დიდი სხვაობა პირველ პერიოდში დაფიქსირდა, როცა ოთარ ფხაკაძის სამქულიანით გურჯაანელები 25:14 დაწინაურდნენ. ოლიმპის ახალწვეულ ობრი მაკალპინის ორქულიანი პასუხი და ნაკრების კანდიდატი გიორგი ტურძილაძის შედეგიანი შეტევის შემდეგ თამაში თანაბარ კალაპოტს დაუბრუნდა.

მეორე პერიოდის შუაწელში ოლიმპი დაწინაურდა კიდეც, მაგრამ ლიდერობამ დიდხანს არ გასტანა და დიდი შესვენებისთვის დელტამ 5-ქულიანი ლიდერობა გაიფორმა – 43:38. მესამე პერიოდის შუაწელში გურჯაანელთა ლიდერობამ 9 ქულას მიაღწია, როცა ფხაკაძის სროლას დელტას 59:50 დაწინაურება მოჰყვა. პერიოდის ბოლომდე ოლიმპელებმა მოახერხეს ჩამორჩენის შემცირება და ბოლო 2-წუთიან შესვენებაზე 4-ქულიანი დეფიციტით გავიდნენ.

ბოლო პერიოდი ოლიმპმა აღმავლობით ჩაატარა. გივი ბაქრაძისა და ლინტონ ესლაისის შედეგიან თამაშს ოლიმპელთა გალიდერება მოჰყვა – 67:66 და ამის შემდეგ რამდენიმეწუთიან ქულა-ქულა თამაშში სასწორის პინა ოლიმპის მხარეზე გადაიწია. სტაბილური დაცვითა და შედეგიანი თამაშით როგავას გუნდმა ხელჩასაჭიდი ლიდერობა მიპოვა და ვერც გურჯაანელთა დამრიგებელ ირაკლი ძიძიგურის წუთშესვენებებმა და ვერც დელტას მოთამაშეთა მონდომებამ მოედანზე ვითარება ველარ შეცვალა. ოლიმპი დამაჯერებლად მივიდა გამარჯვებამდე.

ოლიმპში 18 ქულით, 10 მოხსნითა და 4 პასით საუკეთესო იყო ლინტონ ესლაისი. დრუ კუქსჰაუსენმა 25 ქულა და 5 მოხსნა მიითვალა. 12-12 ქულა და პასი გივი ბაქრაძის ანგარიშზეა. დელტაში 25 ქულა დერიკ ნიუტნმა მოაგროვა. გეგი ბაქრაძისა და ეივი ტუმერის ანგარიშზე 16-16 ქულა დაგროვდა.

### ტიტები-მარგვეთი 97:94
### (19:27; 28:31; 22:21; 28:15)

ერთმანეთს უშუალო კონკურენტები – ტიტები და მარგვეთი დაუპირისპირდნენ. ბესიკ ლეჟავას გაწვრთნილ ტიტებს 11 მატჩიდან მხოლოდ 3 მოგება ჰქონდა, ხოლო მარგვეთს – 4.

შეხვედრისთვის განკუთვნილი დროის აბსოლუტურ უმეტესობას მარგვეთი იგებდა და თითქოს მის მოგებას წინ არაფერი ედგა, თუმცა ტიტების შეუპოვრობამ და გაუტეხლობამ შედეგი გამოიღო. ბოლო პერიოდის შუაწელში წამოწყებული შტურმი ტიტების წევრებმა წარმატებით დააგვირგვინეს და საბოლოო გამარჯვებაც გაიფორმეს – 97:94.

მარგვეთმა პირველი წრის შემდეგ 2 ლეგიონერი დაიმატა და გუნდის შემადგენლობა გვარიანად გაიძლიერა. ცვლილებები მოახდინა ტიტებმაც, რომელმაც ბათუმიდან სანდრო სანაძე და ახალი ლეგიონერი – დარიუს ბელი დაიმატა. ორივე გუნდის უპირველესი მიზანი – სუპერლიგაში ადგილის შენარჩუნება, შემდეგ კი ფლეი ოფში გასვლა და იქ მაქსიმალური ბრძოლაა. შესაბამისად, ორივე მათგანისთვის თითოეულ ქულას ოქროს ფასი აქვს და ამ შეხვედრის მოსაგებად ტიტებმაც და მარგვეთმაც ყველაფერი გააკეთეს.

თამაშის დასრულებამდე 7 წუთით ადრე მარგვეთი 11 ქულით – 90:79 იგებდა და თითქოს არაფერი ემუქრებოდა. ტიტები ის გუნდია, რომელიც ყოველთვის ბოლომდე იბრძვის და გამონაკლისი არც ეს მატჩი გამოდგა. სანდრო სანაძის, მიქაელ უგრეხელიძისა და დარიუს ბელის მექულეობით ტიტებმა 11:0 გარღვევა მოაწყო და მატჩის დასრულებამდე 3,5 წუთით ადრე ანგარიში გაათანაბრა – 90:90. მარგვეთი, რომელსაც გამარჯვება ჯიბეში ჰქონდა, წაგების წინაშე აღმოჩნდა და ამ ფსიქოლოგიური წნეხისგან ბოლო, გადამწყვეტ წუთებში ველარ გათავისუფლდა. საბოლოოდ ტიტებმა გამარჯვება მოიპოვა და ცხრილში მარგვეთს გაუთანაბრდა.

გამარჯვებულებს 26 ქულით კენდრიკ ტომპსონმა ულიდერა. 20 ქულა და 10 მოხსნა ჰქონდა სანდრო სანაძეს. 15 ქულითა და 8 მოხსნით დაასრულა შეხვედრა დარიუს ბელმა. მარგვეთში 26 ქულით საუკეთესო იყო ოთარ ბულიავა. 19 ქულა და 11 მოხსნა – მარქუს გილსონის, ხოლო 18 ქულა, 9 მოხსნა და 9 პასი რონი როზიეს ანგარიშზეა.

### რუსთავი-ვერა 129:70
### (31:13; 30:19; 34:16; 34:22)

ტური რუსთავში რეკორდული მატჩით დასრულდა. ანატოლი ბოისას გაწვრთნილმა რუსთავმა ვერას 59-ქულიანი სხვაობით – 129:70 მოუგო. ამ მატჩში დაფიქსირდა მიმდინარე სუპერლიგის არაერთი რეკორდი: მოპოვებული ქულები, ანგარიშში სხვაობა, ჩაგდებული ორქულიანები□

სუპერლიგის აუტსაიდერმა ვერამ ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია საკმაოდ კარგად მოასპარეზე რუსთავს და უიმედოდ წააგო. მატჩის ბედი ლამის პირველივე პერიოდში გადაწყდა, რომელიც მასპინძლებმა 31:13 მოიგეს. ანატოლი ბოისამ საკმაოდ კარგი გუნდი შეკრა. თითოეულ მოთამაშეს კარგი როლი მოარგო და აათამაშა. გუგა პატაშური, რომელიც 29 იანვარს გამართულ ყველა ვარსკვლავის მატჩის მვპ გახდა, ბრწყინვალე სეზონს ატარებს. ყველაზე გაუმჯობესებული მოთამაშის პრიზი რომ თამაშდებოდეს, მისი მოგების უმთავრესი კანდიდატი სწორედ პატაშური იქნებოდა. რუსთავის სპორტსკოლაში გაზრდილმა ფორვარდმა უდიდესი პროგრესი განიცადა და დღეს ის ქვემოქართლელთა გუნდის მთავარი თუ არა, ერთ-ერთი ლიდერია.

პატაშურისა და მისი თანატოლების – ლევან ბაბილოძისა და ლუკა ბულაშვილის ზეშედეგიანი თამაშით რუსთავმა ძალიან იოლად სძლია მეტოქეს. სამივე ეს კალათბურთელი სხვადასხვა ქალაქებში – თბილისში, ბათუმსა და რუსთავში არიან გაზრდილები, მაგრამ რუსთავში შეთამაშდნენ.

ბაბილოძემ 18-დან 12 ორქულიანი ჩააგდო და 28 ქულასთან ერთად 8 მოხსნა და 5 პასიც მიითვალა. ბულაშვილმა 26 ქულა, 8 პასი და 4 ჩაჭრა მოაგროვა. პატაშურის ანგარიშზე 18 ქულა, 11 მოხსნა და 6 პასი დაგროვდა. ვერელთაგან 15 ქულით ბომბარდირი ლუკა ზაქრაძე გახდა. 14 ქულა კაიდენ რაისის ანგარიშზეა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.კაქტუსი | 12 | 9 | 3 | 932-903 | 21 |
| 2.კავკასია | 12 | 8 | 4 | 972-957 | 20 |
| 3.რუსთავი | 12 | 8 | 4 | 1063-955 | 20 |
| 4.ოლიმპი | 11 | 8 | 3 | 923-861 | 19 |
| 5.თსუ | 12 | 7 | 5 | 1005-967 | 19 |
| 6.ბათუმი | 12 | 6 | 6 | 1027-994 | 18 |
| 7.დელტა | 12 | 5 | 7 | 978-965 | 17 |
| 8.ტიტები | 12 | 4 | 8 | 988-1029 | 16 |
| 9.მარგვეთი | 12 | 4 | 8 | 923-992 | 16 |
| 10.ქუთაისი | 11 | 4 | 7 | 889-929 | 15 |
| 11.ვერა | 12 | 2 | 10 | 911-1059 | 14 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## შედეგები

### 5 თებერვალი
### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ნოტინგემი-ლიდსი ........................ 1:0
ტოტენჰემი-სიტი ........................... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 20 | 16 | 2 | 2 | 45-17 | 50 |
| 2.სიტი | 21 | 14 | 3 | 4 | 53-21 | 45 |
| 3.მანჩესტერი | 21 | 13 | 3 | 5 | 34-26 | 42 |
| 4.ნიუკასლი | 21 | 10 | 10 | 1 | 34-12 | 40 |
| 5.ტოტენჰემი | 22 | 12 | 3 | 7 | 41-31 | 39 |
| 6.ბრაიტონი | 20 | 10 | 4 | 6 | 38-27 | 34 |
| 7.ბრენტფორდი | 21 | 8 | 9 | 4 | 35-28 | 33 |
| 8.ფულემი | 22 | 9 | 5 | 8 | 32-30 | 32 |
| 9.ჩელსი | 21 | 8 | 6 | 7 | 22-21 | 30 |
| 10.ლივერპული | 20 | 8 | 5 | 7 | 34-28 | 29 |
| 11.ასტონ ვილა | 21 | 8 | 4 | 9 | 25-31 | 28 |
| 12.კრ.პალასი | 21 | 6 | 6 | 9 | 19-29 | 24 |
| 13.ნოტინგემი | 21 | 6 | 6 | 9 | 17-35 | 24 |
| 14.ლესტერი | 21 | 6 | 3 | 12 | 32-37 | 21 |
| 15.ვულვზი | 21 | 5 | 5 | 11 | 15-30 | 20 |
| 16.ვესტ ჰემი | 21 | 5 | 4 | 12 | 18-26 | 19 |
| 17.ლიდსი | 20 | 4 | 6 | 10 | 26-34 | 18 |
| 18.ევერტონი | 21 | 4 | 6 | 11 | 16-28 | 18 |
| 19.ბორნმუთი | 21 | 4 | 5 | 12 | 19-43 | 17 |
| 20.საუთჰემპტონი | 21 | 4 | 3 | 14 | 17-38 | 15 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

შტუტგარტი-ვერდერი .................. 0:2
ვოლფსბურგი-ბაიერნი ................. 2:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.უნიონი | 19 | 12 | 3 | 4 | 33-23 | 39 |
| 2.ბაიერნი | 19 | 11 | 7 | 1 | 56-18 | 40 |
| 3.დორტმუნდი | 19 | 12 | 1 | 6 | 38-26 | 37 |
| 4.ლაიფციგი | 19 | 10 | 6 | 3 | 39-24 | 36 |
| 5.აინტრახტი | 19 | 10 | 5 | 4 | 40-26 | 35 |
| 6.ფრაიბურგი | 19 | 10 | 4 | 5 | 30-30 | 34 |
| 7.ვოლფსბურგი | 19 | 8 | 5 | 6 | 38-26 | 29 |
| 8.ვერდერი | 19 | 8 | 3 | 8 | 31-37 | 27 |
| 9.გლადბახი | 19 | 7 | 5 | 7 | 34-29 | 26 |
| 10.ლევერკუზენი | 19 | 7 | 3 | 9 | 30-31 | 24 |
| 11.კიოლნი | 19 | 5 | 8 | 6 | 29-31 | 23 |
| 12.მაინცი | 19 | 6 | 5 | 8 | 27-31 | 23 |
| 13.აუგსბურგი | 19 | 6 | 3 | 10 | 24-33 | 21 |
| 14.ჰოფენჰაიმი | 19 | 5 | 4 | 10 | 28-36 | 19 |
| 15.ბოხუმი | 19 | 6 | 1 | 12 | 24-46 | 19 |
| 16.შტუტგარტი | 19 | 3 | 7 | 9 | 22-34 | 16 |
| 17.ჰერტა | 19 | 3 | 5 | 11 | 20-35 | 14 |
| 18.შალკე | 19 | 2 | 5 | 12 | 14-41 | 11 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ჰანზა-ჰამბურგი .............................. 0:2
მაგდებურგი-კარლსრუე ................ 1:1
ზ.პაული-ჰანოვერი ........................ 2:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

მალიორკა-რეალი ........................... 1:0
ხირონა-ვალენსია .......................... 1:0
სოსიედადი-ვალიადოლიდი ........... 0:1
ბარსელონა-სევილია ..................... 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 20 | 17 | 2 | 1 | 40-7 | 53 |
| 2.რეალი | 20 | 14 | 3 | 3 | 40-17 | 45 |
| 3.სოსიედადი | 20 | 12 | 3 | 5 | 28-19 | 39 |
| 4.ატლეტიკო | 20 | 10 | 5 | 5 | 29-17 | 35 |
| 5.ბეტისი | 20 | 9 | 4 | 7 | 24-20 | 31 |
| 6.ვილიარეალი | 20 | 9 | 4 | 7 | 22-17 | 31 |
| 7.ბილბაო | 20 | 8 | 5 | 7 | 29-21 | 29 |
| 8.ოსასუნა | 20 | 8 | 5 | 7 | 19-19 | 29 |
| 9.რაიო | 19 | 8 | 5 | 6 | 25-22 | 29 |
| 10.მალიორკა | 20 | 8 | 4 | 8 | 16-18 | 28 |
| 11.ხირონა | 20 | 6 | 6 | 8 | 27-29 | 24 |
| 12.სელტა | 20 | 6 | 5 | 9 | 22-32 | 23 |
| 13.ვალიადოლიდი | 20 | 7 | 2 | 11 | 15-28 | 23 |
| 14.ალმერია | 19 | 6 | 4 | 9 | 23-29 | 22 |
| 15.ესპანიოლი | 20 | 4 | 9 | 7 | 24-30 | 21 |
| 16.სევილია | 20 | 5 | 6 | 9 | 21-30 | 21 |
| 17.ვალენსია | 20 | 5 | 5 | 10 | 25-24 | 20 |
| 18.კადისი | 20 | 4 | 7 | 9 | 15-33 | 19 |
| 19.ხეტაფე | 20 | 4 | 6 | 10 | 17-27 | 18 |
| 20.ელჩე | 20 | 1 | 6 | 13 | 15-40 | 9 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ვილიარეალი ბ-გრანადა ................ 0:2
ანდორა-სარაგოსა ........................ 0:1
პონფერადინა-რასინგი ................. 1:1
კარტახენა-ლევანტე ..................... 1:2
ლუგო-იბიცა .................................. 0:0

**იტალია. სერია ა**

სპეცია-ნაპოლი ............................... 0:3

**ნაპოლის პირველი გოლი ხვიჩა კვარაცხელიამ გაიტანა**

ტორინო-უდინეზე ........................... 1:0
ფიორენტინა-ბოლონია ................. 1:2
ინტერი-მილანი .............................. 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 21 | 18 | 2 | 1 | 51-15 | 56 |
| 2.ინტერი | 21 | 14 | 1 | 6 | 41-26 | 43 |
| 3.რომა | 21 | 12 | 4 | 5 | 28-18 | 40 |
| 4.ლაციო | 20 | 11 | 5 | 4 | 36-16 | 38 |
| 5.ატალანტა | 21 | 11 | 5 | 5 | 39-24 | 38 |
| 6.მილანი | 21 | 11 | 5 | 5 | 37-30 | 38 |
| 7.ტორინო | 21 | 8 | 6 | 7 | 22-22 | 30 |
| 8.უდინეზე | 21 | 7 | 8 | 6 | 28-23 | 29 |
| 9.ბოლონია | 21 | 8 | 5 | 8 | 28-31 | 29 |
| 10.ემპოლი | 21 | 6 | 8 | 7 | 19-26 | 26 |
| 11.მონცა | 20 | 7 | 4 | 9 | 25-28 | 25 |
| 12.ფიორენტინა | 21 | 6 | 6 | 9 | 23-28 | 24 |
| 13.იუვენტუსი | 20 | 11 | 5 | 4 | 30-17 | 23 |
| 14.სასუოლო | 21 | 6 | 5 | 10 | 24-31 | 23 |
| 15.ლეჩე | 21 | 5 | 8 | 8 | 21-24 | 23 |
| 16.სალერნიტანა | 20 | 5 | 6 | 9 | 25-38 | 21 |
| 17.სპეცია | 21 | 4 | 6 | 11 | 17-35 | 18 |
| 18.ვერონა | 20 | 3 | 4 | 13 | 18-32 | 13 |
| 19.სამპდორია | 20 | 2 | 3 | 15 | 8-34 | 9 |
| 20.კრემონეზე | 21 | 0 | 8 | 13 | 15-37 | 8 |

**შენიშვნა:**
**იუვენტუსს დაკლებული აქვს 15 ქულა**

**იტალია. სერია ბ**

პალერმო-რეჯინა ........................... 2:1
პარმა-ჯენოა .................................... 2:0

**საფრანგეთი. ლიგა 1**

კლერმონი-მონაკო ......................... 0:2
აიაჩო-ნანტი ................................... 0:2
ლორიანი-ანჟე ................................ 0:0
ოსერი-რეიმსი ................................ 0:0
სტრასბური-მონპელიე .................. 2:0
ბრესტი-ლანსი ................................ 1:1
მარსელი-ნიცა ............................... 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 22 | 17 | 3 | 2 | 54-17 | 54 |
| 2.მარსელი | 22 | 14 | 4 | 4 | 43-20 | 46 |
| 3.ლანსი | 22 | 13 | 7 | 2 | 34-16 | 46 |
| 4.მონაკო | 22 | 13 | 5 | 4 | 48-29 | 44 |
| 5.რენი | 22 | 12 | 4 | 6 | 41-25 | 40 |
| 6.ლილი | 22 | 11 | 5 | 6 | 38-27 | 38 |
| 7.ლორიანი | 22 | 10 | 6 | 6 | 35-34 | 36 |
| 8.ნიცა | 22 | 9 | 7 | 6 | 27-21 | 34 |
| 9.ლიონი | 22 | 9 | 5 | 8 | 33-24 | 32 |
| 10.რეიმსი | 22 | 6 | 12 | 4 | 26-26 | 30 |
| 11.კლერმონი | 22 | 8 | 6 | 8 | 24-29 | 30 |
| 12.ტულუზა | 22 | 8 | 5 | 9 | 36-38 | 29 |
| 13.ნანტი | 22 | 5 | 10 | 7 | 23-26 | 25 |
| 14.ბრესტი | 22 | 4 | 8 | 10 | 24-35 | 20 |
| 15.მონპელიე | 22 | 6 | 2 | 14 | 31-45 | 20 |
| 16.ტრუა | 22 | 4 | 7 | 11 | 33-48 | 19 |
| 17.სტრასბური | 22 | 3 | 9 | 10 | 27-39 | 18 |
| 18.აიაჩო | 22 | 5 | 3 | 14 | 18-39 | 18 |
| 19.ოსერი | 22 | 3 | 5 | 14 | 18-46 | 14 |
| 20.ანჟე | 22 | 2 | 3 | 17 | 18-47 | 9 |

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

კამბური-აიაქსი ............................... 0:5
იგლზი-ნაიმეგენი .......................... 1:0
ფეიენოორდი-პსვ ........................... 2:2
გრონინგენი-ტვენტე ...................... 1:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ბრაგა-ფამილიკაუ .......................... 4:1
შავიში-მარიტიმუ ........................... 2:1
პორტუ-ვიზელა ............................... 2:0
ჟილ ვისენტე-არიუკა ...................... 1:1

**ბელგია. ა დივიზიონი**

ანტვერპენი-ბრიუგე ....................... 0:0
მეხელენი-შარლერუა ..................... 2:2
გენტი-გენკი .................................... 2:3
სენ ჟილუა-ვარეგემი ...................... 4:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

სტ.ჯონსონი-სელტიკი ..................... 1:4

**თურქეთი. სუპერლიგა**

ისტანბული-ალანია ......................... 2:1
ჰატაი-ქაშიმფაშა ............................ 1:0
გალათასარაი-ტრაბზონი ................ 2:1

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

## კროსვორდი ბ




**შვეულად:** 1. ნაყოფიერების, ბარაქისა და სიუხვის ღვთაება სვანეთში; 2. სოფელი ხევსურეთში; 3. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 4. დიდი თაგვი; 5. თბილისში მოღვაწე გერმანელი არქიტექტორი, ქაშვეთის ეკლესიის პროექტის ავტორი; 7. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 11. მუნჯი კინოს აკომპანიატორი პიანისტი; 13. ისტორიული ჩანაწერები, რომლებსაც აწარმოებდნენ მემატიანეები; 15. ალ.ყაზბეგის მოთხრობა; 16. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აუქციონი; 18. უბანი თბილისში; 19. პოლონეთის ფეხბურთელთა გუნდი,

**თარაზულად:** 6. ქართველი პოლიტიკოსი მამაკაცი; 8. რაიონული ცენტრი იმერეთში; 9. მსხვილი ფინანსური სამრეწველო გაერთიანება; 10. უფლისწულის ტიტული ესპანეთში; 12. ლუთერანული ეკლესია; 14. ფრანგი მოდელიერი; 17. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 20. ყვავილოვანი კომბოსტოს ერთ-ერთი სახეობა; 21. წინასწარი მონახაზი; 22. დიდი წვეულება; 23. ნივთიერების მაღალ ტემპერატურაზე დაშლის ქიმიური პროცესი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფარმაკოპეა; 2. ხორუმი; 3. შარიათი; 4. თოიძე; 5. შატბერდი; 6. ჩანგი; 7. დიოგენი; 9. კოვბოი; 13. სუფსა; 17. ქუჯი; 18. აია.

**თარაზულად:** 1. ფსირცხა; 3. შუამთა; 8. ჩანახი; 10. კუბრიკი; 11. ქარვა; 12. მესხეთი; 14. სოპოტი; 15. ტყიბული; 16. დაქსი; 19. ნასერი; 20. დაუგავა; 21. ასკილი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ლებარდე; 2. იამოტო; 3. ზალცბურგი; 4. ეკლერი; 5. რელიქვია; 7. ზარა; 11. დენტინი; 13. ჰორაციო; 15. აშული; 16. ვოლგა; 18. ალიბი; 19. იახტა.

**თარაზულად:** 6. ეროზია; 8. ვახშამი; 9. გოლეული; 10. რონალდუ; 12. ჩორსუ; 14. ლიახვი; 17. გერიატრია; 20. ეპილოგი; 21. ალღუმი; 22. ბისტრო; 23. საგურამო.

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge


7 თებერვალი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6424

ევრო — 2.8432

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1778

100 რუსული რუბლი — 3.7348

## ამინდის პროგნოზი 7 თებერვლისათვის




## მანე პსჟ-სთან პირველ მატჩს გამოტოვებს



სადიო მანემ ტრავმა ჯერ ბოლომდე ვერ მოიშუშა და მისი თამაში პსჟ-ს წინააღმდეგ გამოირიცხა, თუმცა ეს მხოლოდ პირველ შეხვედრას ეხება და მეორე მატჩისთვის მანე, სავარაუდოდ, უკვე მზად იქნება. სადიომ ტრავმა მსოფლიო ჩემპიონატამდე მიიღო და ამ მიზეზით მან ეს ტურნირი გამოტოვა. დიდი ალბათობით, მანე მოედანს მარტის დასაწყისში დაუბრუნდება.

## ხავი: „ასეთი გამარჯვებები თავდაჯერებულობას გვმატებს“



ბარსელონამ საკუთარ მოედანზე სევილია დაამარცხა 3:0 და რეალთან სხვაობა უკვე 8 ქულაა. ამ გამარჯვების შემდეგ ბარსელონამ ჩემპიონობაზე სერიოზული განაცხადი გააკეთა და, ხავის თქმით, ის მიზანთან ახლოს არის, თუმცა ჯერ საბოლოო გამარჯვებაზე საუბარი ადრეა: „სევილიასთან გუნდმა შესანიშნავი თამაში აჩვენა და ჩვენ ეს თავდაჯერებულობას გვმატებს. ბარსელონა მიზანთან ახლოს არის და შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ“.

## ხვიჩა კვარაცხელიამ გოლი და საგოლე პასი მიითვალა



ნაპოლიმ სტუმრად დაამარცხა სპეცია 3:0 და ხვიჩა კვარაცხელიას კიდევ ერთი კარგი მატჩი ჰქონდა. კვარაცხელიამ პენალტის გატანა და საგოლე პასის გაკეთება შეძლო. გარდა ამისა, ის მთელი თამაშის განმავლობაში აქტიური იყო და სპეციას ბევრ პრობლემას უქმნიდა. ნაპოლი ამ გამარჯვების შემდეგ 16 ქულით ლიდერობს ცხრილს და მის ჩემპიონობას წინ თითქმის არაფერი უდგას.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## თემურ წიკლაურის უცნობი ფოტოები გამოიფინება



მომღერალ თემურ წიკლაურს გამოფენა მიეძღვნება. „გვერდით მყავდა მეგობარი ნალდი“ – ასე ეწოდება გამოფენას, სადაც წარმოდგენილი იქნება თემურ წიკლაურის, ზურა დოიჯაშვილის, ზურა ვადაჭკორიას, ეთერ კაკულიას, მამუკა ონაშვილის პაპარაცული, ყოველდღიური და აქამდე უცნობი ფოტოები.

ჟურნალისტი ბესო ჩუბინიძე 10 თებერვალს ნათელა იანქოშვილის სახელობის სამხატვრო მუზეუმში ყველა დაინტერესებულ ადამიანს ეპატიჟება:

– 10 თებერვალს ჩემი პატარა პაპარაცული ფოტოგამოფენა უნდა მოვაწყო, ჩემს გარდაცვლილ მეგობრებს რომ მივუძღვნა, ისეთი – თემურ წიკლაურს, ზურა დოიჯაშვილს, ზურა ვადაჭკორიას, ეთო კაკულიას, მამუკა ონაშვილს. ძალიან ვეცდები, სასიამოვნოდ გასახსენებელი გამოფენა გამომივიდეს. რასაც შევძლებ და რასაც გავქაჩავ, იქამდე მივწვდები. უბრალოდ, მათ ხსოვნას პატივს ახლა ასე მივაგებ და გამოფენის მსვლელობის დროს ერთ პატარა, სასიამოვნო, თუმცა მაინც სევდიან სიურპრიზსაც შემოგთავაზებთ – მუსიკალური კლიპი ჩემს მეგობრებს იმიერ საქართველოში ამიერი საქართველოდან.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ასტროპროგნოზი



### 7 თებერვლისათვის

**ვერძი** – პარტნიორებისგან იმედგაცრუებას ელოდეთ. ემოციები მძლავრობს. თავი შეიკავეთ. **კურო** – აქტიურობა სათანადო შედეგს გამოიღებს. აგიმაღლდებათ შრომისუნარიანობა. მიზანს მიაღწევთ. **ტყუპები** – ნურავის მისცემთ უფლებას, საქმეში ხელი შეგიშალოთ. საკუთარი ინტერესები წინა პლანზე დააყენეთ. **კირჩხიბი** – დასვენება დაივიწყეთ და აქტიურად იცხოვრეთ. დაეხმარეთ ახლობლებს. **ლომი** – პირად ცხოვრებაში კონფლიქტს ელოდეთ. სულიერ დისკომფორტს განიცდით. **ქალწული** – წონასწორობა შეინარჩუნეთ. დაელოდეთ ხელსაყრელ დროს. ერიდეთ ახალ ნაცნობობას. **სასწორი** – გულახდილობა სასურველი არ არის. ახალგაცნობილი ადამიანი თქვენს ცხოვრებაში ნეგატივს შემოიტანს. **ღრიანკალი** – კეთილისმყოფელი დღეა კარიერული წინსვლის თვალსაზრისით. სიყვარულში წარმატება გელით. **მშვილდოსანი** – ოჯახში ჰარმონია სუფევს. ნუ აჰყვებით ჭორებს. **თხის რქა** – ცდუნება დიდია. საღი აზრი შეინარჩუნეთ. პოზიციებს ნუ დათმობთ. **მერწყული** – ძალზე კეთილისმყოფელი დღეა. გრძელვადიანი გეგმები თამამად შეიმუშავეთ. **თევზები** – ყურადღებით იყავით საქმიან ქაღალდებზე ხელმოწერისას. გაუფრთხილდით საყვარელ ადამიანთან ურთიერთობას.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

•••

მოსამართლე მოწმეს ეკითხება:

– თქვენი გვარი?

– ვისი? ჩემი?

– არა, ჩემი! რა თქმა უნდა, თქვენი!

– ქათამაძე.

– დაბადების წელი?

– ვისი? ჩემი?

– არა, ჩემი! რა თქმა უნდა, თქვენი!

– 1955.

– დაოჯახებული ხართ?

– ვინ? მე?

– არა, მე! რა თქმა უნდა, თქვენ!

– დაოჯახებული ვარ.

– დიდი ხანია, ცოლთან ცხოვრობთ?

– ვისთან? ჩემთან?

– არა, ჩემთან!

– თქვენთან, დაახლოებით ნახევარი წელი...

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– მოდი, ჩვენი ურთიერთობა გავამრავალფეროვნოთ. გავითამაშოთ.

– კარგი, დაიწყე.

– მოდი, შენ ვითომ ტაქსისტი ხარ, მე კი ახალგაზრდა, სიმპათიური გოგონა, რომელიც სახლამდე მიიყვანე, მაგრამ მგზავრობის საფასური არ აღმომაჩნდა.

– კარგი, მიდი.

– ბიძია, იცით რა, მგზავრობის ფული არ მაქვს და გთხოვთ, გამიშვით, რა!

– წადი მერე, ვინ გიჭერს...

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## დოდონა ნამორაძემ ბერძნული „ვოისის“ რინგი მოიგო

ბერძნულ „ვოისში“ ქართველი მომღერალი დოდონა ნამორაძე მონაწილეობს და წარმატებით გადადის ტურიდან ტურში. მისი ყოველი გამოსვლა მწვრთნელებისა და მაყურებლის აღფრთოვანებას იწვევს.

მორიგ საკონკურსო ტურში დოდონამ ცნობილი ჰიტი „ბენგ ბენგ“ შეასრულა, მისი მწვრთნელის გადაწყვეტილებით, რინგის გამარჯვებულიც გახდა და მომდევნო ტურშიც გადავიდა.



## ალექსანდრე ზაზარაშვილი კონცერტს ფილადელფიაში გამართავს



უკრაინული „ვოისის“ გამარჯვებული ალექსანდრე ზაზარაშვილი 10 თებერვალს კონცერტს ფილადელფიაში გამართავს.

ალექსანდრე კარგა ხანია ამერიკაში გადავიდა საცხოვრებლად და მუსიკალური კარიერის განვითარებაზეც მუშაობს. მან წამოიწყო საკონცერტო ტურნე „ბიჭი ოცნებით“, რომელშიც განსაკუთრებული საკონცერტო პროგრამა წარმოადგინა. ალექსანდრესთან ერთად კონცერტში ნუცა შანშიაშვილიც მონაწილეობს.

მომღერალმა საკონცერტო ტურნე ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში დაიწყო ნიუ იორკიდან და საღამოების ჩატარებას ამერიკის სხვადასხვა ქალაქში აპირებს.

## სალომე ჭაჭუა ირლანდიურ „ცეკვავენ ვარსკვლავებს“ გამოეთიშა



ქართველი მოცეკვავე სალომე ჭაჭუა ირლანდიური „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეოთხე სეზონს გამოეთიშა.

სალომესა და მისი მეწყვილის პოლ ბროგენისთვის შოუს მეხუთე საკონკურსო ეპიზოდი წარუმატებელი აღმოჩნდა. მათი ტანგო ჟიურიმ დაბალი ქულებით შეაფასა – 16 ქულა მიანიჭა, მაყურებელმა კი მათი გადარჩენა და პროექტში დატოვება ვერ შეძლო.

სალომე უკვე მეორე სეზონია, ირლანდიურ „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ მონაწილეობს. მისი პირველი მეწყვილე მორაგბე ჯორდან ქონროი იყო, მეორე კი – ფეხბურთელი პოლ ბროგენი. ჯორდანთან ერთად სალომე ფინალამდე მივიდა, პოლთან კი პროექტი მეხუთე საკონკურსო ეპიზოდში დატოვა.

## ზვიად ციკოლიას ნამუშევარი მილანის საერთაშორისო გამოფენაზეა




ქართველი დიზაინერის ზვიად ციკოლიას ნამუშევრები – სუნამოები, სათვალეები, საათები სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება მსოფლიოში.

ამჯერად ზვიად ციკოლიამ თავისი მორიგი ნამუშევარი „კოლხი“ მიდოს საერთაშორისო გამოფენაზე მილანში წარადგინა, სადაც დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

## ოთარ იოსელიანი 89 წლის გახდა



კინორეჟისორი ოთარ იოსელიანი 89 წლის გახდა. არაერთი გამორჩეული ფილმის ავტორმა დაბადების დღე მოკრძალებულად უახლოესი ადამიანების გარემოცვაში აღნიშნა.

ოთარ იოსელიანის ფილმები მაყურებელმა მისი უნიკალური სტილისა და ოსტატური თხრობის გამო შეიყვარა. რეჟისორის ნამუშევრები რამდენიმე ათეული წელია აღაფრთოვანებს როგორც ქართველ, ასევე უცხოელ მაყურებელს.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული, ოთარ იოსელიანი საფრანგეთში ცხოვრობს და მოღვაწეობს. ხანგრძლივი შემოქმედებითი კარიერის განმავლობაში მას არაერთი პრესტიჟული პრიზი აქვს მიღებული მსოფლიოს წამყვან კინოფესტივალებსა თუ კინოდაჯილდოებებზე: ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის, ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალისა და ევროპის კინოაკადემიის ჯილდოები.

**მანანა სურაძე, რეჟისორი:**

– ოთარ იოსელიანი 89 წლისაა. მადლიერი და მადლობელი ვარ ცხოვრების, რომ წილად მერგო ბედნიერება, კინოს სფეროში მოსვლისთანავე გამეცნო და ხშირი კონტაქტი მქონოდა ბატონ ოთართან. პირველად 1994 წელს ვიყავით ერთად საერთაშორისო კინოფესტივალზე, სადაც ბატონი ოთარი ფესტივალის მთავარი სტუმარი და მოვლენა იყო, ხოლო მე, მასთან ერთად ყოფნის გამო – ყველაზე საჭირო ადამიანი. უწყვეტ ნაკადად მოდიოდნენ კინემატოგრაფისტები და მთხოვდნენ, ბატონი ოთარისთვის წარმედგინა ისინი. ამიტომ, გადავწყვიტე, იოლად გადამეჭრა პრობლემა, ყველას ვიბარებდი კაფეში, სადაც უმეტეს დროს ვატარებდით. ყოველ საღამოს ერთი და იგივე სცენა მეორდებოდა: მე და ბატონი ოთარი ვსხედვართ მაგიდასთან და გასწვრივ მსურველთა რიგი დგას. სათითაოდ მოდიოდნენ, მე წარვადგენდი და შემდეგ 3-5 წუთი ჰქონდათ გასაუბრებისათვის. ნაკადი არ სრულდებოდა, თითქმის ყოველ საღამოს ამ რეჟიმში „ვმუშაობდით“. ბატონი ოთარი თავისი ჩვეული იუმორით ესაუბრებოდა და „ხულიგნობდა“. ერთ საღამოსაც მაგიდასთან ჩამოგვიჯდა სოჭის ფესტივალ „კინოტავრის“ გენერალური დირექტორი, რომელმაც ფესტივალზე დაპატიჟა და ძალიან სთხოვა, უარი არ ეთქვა. ბატონმა ოთარმა შეწუხებული სახით უთხრა, რომ ძალიან უნდა ფესტივალზე სტუმრობა, მაგრამ არაფრით არ შეეძლო, რადგან მამამ სიკვდილის წინ დააფიცა, სანამ სოჭი საქართველოს არ დაუბრუნდება, იქ ფეხი არ ჩაადგაო. ასე რომ, ფიცს ვერ გავტეხო. მე უკვე მქონდა გამოცდილება, გამერჩია, როდის ამბობდა სიმართლეს და როდის ხულიგნობდა, მაგრამ იქ დამსწრეებს ეჭვიც არ შეჰპარვიათ მის სიმართლეში. გმადლობთ, ბატონო ოთარ, ყველა იმ ბედნიერი წუთისთვის, რომელსაც თქვენი არსებობით გვჩუქნით.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. საიდუმლო დოკუმენტების დამტარებელი მთავრობის ან სამხედრო უწყების კურიერი; 2. ბადმინტონის სათამაშო ბურთი; 3. იმპრესიონიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი ფრანგი მხატვარი; 4. კუბის ფორმის წმინდა მეჩეთი მექაში; 5. გერმანიის პირველი რაიხსკანცლერი; 6. ინგლისის ნაკრებისა და „ტოტენჰემის“ ფეხბურთელი; 7. ყირგიზეთის დედაქალაქი; 9. უმაღლესი ხარისხის პერგამენტის ქაღალდი; 13. ფანტასტიკური ჟანრის ფრანგი მწერალი; 17. ძვირფასი ქვა, რომელზეც ამოკვეთილია წარწერა ან ორნამენტი; 18. სოკოვანი წარმონაქმნი საკვები პროდუქტების ზედაპირზე.

**თარაზულად:** 1. მდინარე ახალციხეში; 3. სპარსულ-ტაჯიკური პოეზიის ფუძემდებელი; 8. სარეცხი მანქანის გამომგონებელი ამერიკელი ინჟინერი; 10. თამბაქოს წარმოების ცენტრი თურქეთში; 11. რაიმე პროცესის, სამუშაოს დასრულებული პერიოდი დროის გარკვეულ მონაკვეთში; 12. პატარა ალამი, დროშა; 14. ამერიკელი მულტიპლიკატორი; 15. გერმანული ჟურნალი; 16. ბოულინგის მეორე სახელწოდება; 19. უღრანი ტროპიკული ტყე; 20. ექიმის სპეციალობა; 21. უნგრეთის პრემიერ-მინისტრი.




*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*